საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

პარასკევი 18 ივნისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი,** მეოთხე გვერდზე **6 მანეთი.** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 135 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 135

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ნინო და ალექსი ხუბუტიები შვილებით ხუტუ და დულათი და დეიდა ციცინო ალშიბაია გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი აზერბეიჯანის ფრონტზე მტრის მიერ განგმირულ

პლატონი ალექსის ძე ხუბუტიას

სულის მოსახსენებლათ სენაკის ძმათა სასაფლაოზე 19 ივნისს.

(1926 3—2)

სამეგრელოს სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი ამით აუწყებს ამხანაგებს, ნაცნობებს და ნათესავებს, რომ კვირას, 20 ივნისს, დილის 10 საათზე ქ. ახალ-სენაკში ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, 12 და 13 მაისს აზერბეიჯანის ფრონტზე ბრძოლაში გმირულად დაცემულ გვარდიის ოფიცერი

გრიგოლ (კოცო) გუგუშვილის

გვარდიელ

პლატონ ხუბუტიას და ვალერიან გოგოლაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო. (ფ. 2—1)

გაუბედურებული მშობლები სერგო და ანეტა ქუთათელაძეები, შვილები: თალიკო, ლიზიკო, ანიკო და ლუტუთი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას 20 ივნისს გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ დაკარგულის ხონის ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

თინასი

წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი ხონის მაცხოვრის ეკლესიაში დილის 10 საათზე. (1938 1—1)

დამწუხრებული მეუღლე მარო დავითის ასული, შვილები მიშა და ნინა უნგიაძენი აცნობებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ გარდაცვალებულის მათი ძვირფასი მღვდლის

სერგი უნგიაძის

ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ნაგომრის წმ. მარინეს ეკლესიაში (გურიაში) შაბათს, 19 ივნისს.

(1939 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო, შვილები: გრიგოლი, ნიკოლოზი, ვასილი, ოლღა, სოფიო და თამარი, სიძეები: [illegible] ივანე აბულაშვილი და გიორგი გულისაშვილი, რძლები: ბარბარე, ელენე და ბარბარე, შვილიშვილები: ელიკო და ნინო, ძმები: მიხეილი და კალენიკე, და მარიამ ფერაძისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი დეკ.

კორნილე პეტრეს ძე ელიზბარაშვილისას

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. თელავში შაბათს, 19 ივნისს. პანაშვიდი ყოველ დღე ქ. თელავში საღამოთი და დილით. (1937 2—1)

გაუბედურებული დედა, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, 20 ივნისს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ვლადიმერ პავლეს ძე გოგეჩიას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 12 საათზე.

(1913 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნადია გიგოს ასული, შვილები: კონსტანტინე, სიმონი, ეპრაკსია და მარია, რძალი მარუსია და შვილის შვილი ნატუსია აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 16 ამა ივანობისთვეს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პლატონ ივანეს ძე კანდელაკი

რომლის დაკრძალვა მოხდება ს. კულაში ჯვარცხმის ეკლესიაზე შაბათს, 19 ივანობისთვეს, დილის 9 ნახ. საათზე (1943 1—1)

მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპ. № 129).

პარასკევს 18 ივნისს

სახალხო გვარდიის ცხენოსანთა დივიზიონის მუსიკის მიერ, ვ. მიზანდარის ლოტბარობით გაიმართება

პარასკევს 18 ივნისს

კონცერტი

კონცერტზე დასწრება უფასოა. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. **შაბათს—კონცერტი. ქართული კვირას წარმოდგენა: მუსიკა.**

საჭიროა გამოცდილი მოიჯავეები

პირობების გაგება შეიძლება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში. (ნ. 1—1)

მომარაგების სამინისტრომ

თავის რწმუნებულათ და სავაჭრო აგენტათ ქ. ბათუმში დანიშნა დავით კახელაძე, მის თანაშემწეთ გ. საყვარელიძე. ბათუმშივე არსებობს მომარაგების სამინისტროს კანტორა, (სვიატოპოლკ მირსკის ქუჩაზე, რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების პირდაპირ). სამინისტროსთან კომერციულ საქმეთა გამო ქ. ბათუმში უნდა მიმართონ რწმუნებულს დავით კახელაძეს კანტორაში.

მომარაგების სამინისტრო. (ნ. 3—3)

საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა

ნ. ჟორდანიას ლიტოგრაფიული სურათი

სუფთათ და ხელოვნურათ კარგ ქაღალდზე ზომით 16—13. ყველა მსურველთ, როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებებს სურათი შეუძლიათ შეიძინონ ხელმისაწვდომ ფასებში თფილისის კომიტეტში, ერთობის ქ. № 4.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

1) ყველას საყურადღებოთ აცხადებს, რომ კომიტეტი, ჯერ-ჯერობით, ანგარიშების დასრულებამდის არავის ფულით ერთდროულ დახმარებას არ აძლევს.

2) კომიტეტი სთხოვს ყველას, ყოველგვარ გაუგებრობის გამოსარკვევად, მიმართოს კომიტეტს, სასახლეში.

3) კომიტეტის სხდომა დანიშნულია სამშაბათს, 22 ივნისს, დილის 11 საათ. სასახლეში, ყველა წევრის დასწრება საჭიროა.

კომიტეტის თავმჯდომარე **ხერ. ჟორჟოლიანი,**
საქმეთა მმართველი **გერ. ქიქოძე.** (1934 2—2)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა მომარაგების სამინისტრო ერობათა, კოოპერატივთა და კერძო სავაჭროების საშუალებით შეუდგა ნედლი პარკის დაგროვება შესყიდვას შემდეგ პირობებში: ნედლი პარკის მოსავლის ჩაბარება გასყიდვის დროს მეაბრეშუმე იღებს ადგილობრივ ბაზრის ფასს და როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში, მეაბრეშუმეს მიეცემა კიდევ ზედმეტ ფასად 30 პროცენტი წმიდა მოგებისა, პარკის შესყიდვა-მიღება მოწყობილი იქნება ქ. თფილისში (საბრეშუმო სადგური), თელავში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ლანჩხუთში. ნატანებში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, აბაშაში, ახალსენაკში, ბანძაში, ხობში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, გალში, ოჩემჩირში, სოხუმში, ზესტაფონში, უწერაში, ცაგერში და სხვ. უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მთავარ რწმუნებული ი. ქუთათელაძისაგან ქ. თფილისის და ქუთაისის საბრეშუმო სადგურეში. (ნ. 15—4)

ლანჩხუთში, ამაღლება-ვანში, საჯევახოში,

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა გ. მინისტრის ნებართვით დაიწყო თავისი მოქმედება

ბანკის კონტორა

ტელ. 1—77 **კავკაზ და ბერმესმა** ტელ. 1—77

თფილისი, თავისუფლების მოედანი. ტელეგრაფის ადრესი—„კავგერბანკი“

აწარმოებს შემდეგ საბანკო ოპერაციებს.

მიღებას (ფულისა მიმდინარე ანგარიშზედ და ძვირფასი ნივთების მიბარებას. თამასუქების განაღდებას —და სესხის მიცემას, გადაგზავნას, შენახვას.

სხვადასხვა საკომისიო და ბირჟის დავალებებს.

კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

(1944—3—1)

სახალხო სიმღერა-გალობის სწავლა-ვარჯიშობა მიხეილ კავსაძისა

ოთხშაბ. და პარასკევს საღამოს $5^1/_2$—$7^1/_2$ ს. (1914—3—3) რუსთაველის პროსპ. № 17.

სომხეთის პრეტენზიები

იმ ხელშეკრულობაში, რომელიც საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო, არის ისეთი მუხლები, რომლებიც სომხეთსაც შეეხება. ამ ხელშეკრულობის ძალით საქართველოს საზღვრებში უნდა შევიდეს მთელი უწინდელი თფილისის გუბერნია. როგორც ვიცით, თფილისის და ერევნის გუბერნიის საზღვარი გადიოდა ბამბაკზე, მაშასადამე ხელშეკრულობის ძალით საქართველოს მიეკუთვნება თფილისის გუბერნიის სამხრეთის ნაწილი, რომელიც დღეს სომხეთს უჭირავს, და ის ნეიტრალური ზონა, რომელიც დაარსებულია საქართველოსა და სომხეთს შუა.

რა თქმა უნდა, ხელშეკრულობის ეს მუხლი ისე არავინ უნდა გაიგოს, ვითომც საქართველოს სომხეთის ზურგს უკან ამიერ-კავკასიისთვის უცხო ძალასთან—რუსეთთან—შეეკრას პირობა, და ვითომც ამ პირობის ძალით უკვე გადაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოს საკითხები, რომლებიც სადავოთ ითვლება საქართველოსა და სომხეთს შორის. აზრი ხელშეკრულობის ამ მუხლისა გულისხმობს, რომ საბჭოთა რუსეთი **სცნობს საქართველოს უფლებებს** ლორზე და ბამბაკზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს საკითხი დღესვე საბოლოოთ გადაწყვეტილად ითვლება სომხეთის დაუკითხავათ. პირ-იქით, სწორეთ დღეს ხდება საქართველოსთვის შესაძლებელი სომხეთთან მორიგებით გადასჭრას სადავო საკითხები. ჩვენ გვწამს საქართველოს უფლებები მთელ თფილისის გუბერნიაზე, ჩვენის აზრით თფილისის გუბერნიის რომელიმე ნაწილების მოწყვეტა საფრთხეში ჩააგდებს საქართველოს არსებობას. ჩვენ მთელის ჩვენის არგუმენტაციით დავიცავთ საქართველოს საარსებო უფლებებს. მიუხედავათ ამისა, ჩვენ გვინდა ყველაფერი ეს გავაკეთოთ არა სხვანაირად, თუ არ სომხეთთან მორიგებით, თუ არ იმ ზომებით, რაც მისაღებია დემოკრატიისათვის და კულტურულ ერისათვის.

საბჭოთა რუსეთისადმი გაგზავნილ ნოტაში სომხეთის მთავრობა „ღრმა გაკვირვებას“ გამოსთქვამს იმის გამო, რომ რუსეთი „ვალდებულებას ღებულობს იცნოს თფილისის გუბერნია და ბათომის ოლქი ყველა მაზრებით და რაიონებით საქართველოს უდავო ნაწილებათ.“ ამ „გაკვირვებას“ სრულებით ადგილი არ ექნებოდა, რომ სომხეთის მთავრობას სწორეთ გაეგო ხელშეკრულების ამ მუხლის აზრი.

დიახ, შეთანხმება სადავო საკითხების შესახებ უნდა მოხდეს. მაგრამ ვისაც გულწრფელათ უნდა შეთანხმებით საქმის გათავება, მან სადავოთ არ უნდა გამოაცხადოს ისეთი საკითხები, რომლებიც სრულიად უდავოა. ზემოთ ამოწერილ სტრიქონებში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს და სომხეთს შორის სადავო საკითხთა რიცხვს მიაკუთვნა ბათომ - აჭარის საკითხიც. „ბათომის ოლქში, ნათქვამია ნოტაში, სომხეთი თხოულობს თავის დაკმაყოფილებას ჭოროხის რაიონით, რაც საშუალებას მისცემს მას ყარს-ბათომ-პორტის რკინის გზის აშენებით მიიღოს მის სიცოცხლისათვის აუცილებელი ეკონომიური გასავალი ზღვისაკენ“.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ: სომხეთს უნდა საშუალება მიეცეს, რომ ზღვაში გასავალი იქონიოს. ამისთვის საჭიროა გამოინახოს ყოველნაირი ზომები, გარდა ერთისა: სრულიად მიუღებელია, რომ, რაკი სომხეთს ზღვაში გასავალი სჭირდება, მის საზღვრებში შევიდეს ტერიტორია, რომელთანაც არაფერი საერთო არა აქვს სომხეთს და რომლის მცხოვრებნი მთელი თავისი ძალით წინა-აღუდგებიან ამ ზომას. ხომ არ შეიძლება სომხეთის ზღვაში გასვლას მსხვერპლად შევწიროთ ინტერესები მთელი დიდი მხარისა, სადაც ასი სომეხი ოჯახი არ მოიპოვება. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ასეთი პრეტენზია მარტო იმპერიალისტურ მისწრაფებით არის ნაკარნახევი. სომხეთის მთავრობამ ერთხელ უკვე ხელი შეუშალა საქართველოს მის სასიცოცხლო უფლებების მოპოვებაში; აჭარის მუსულმან-ქართველებს მან ხელი შეუშალა მათ ბუნებრივ სურვილის განხორციელებაში—ქართველ ერთან შეერთებაში: ეს ხელის შეშლა მოხდა სან-რემოს კონფერენციაზე. დღეს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამასვე იმეორებს, საბჭოთა რუსეთისადმი პროტესტს გზავნის და ჭოროხის რაიონზე აცხადებს იმისთანა პრეტენზიებს, რომლებსაც არავითარი სამართლიანი საფუძველი არ მოეპოვება, რომლებიც მოკლებულია ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, სტრატეგიულ, კულტურულ და ყველანაირ საბუთს, გარდა მადიანობისა და იმპერიალიზმისა.

საქართველოსა და სომხეთს შორის ბევრია სადავო საკითხები; მათზე მოლაპარაკება ჯერ კიდევ წინ არის. მაგრამ ამ სადავო საკითხების გადაწყვეტა მით უფრო გაძნელდება, რაც უფრო მეტი უდავო საკითხები სადავოთა რიცხვში იქნება შეტანილი.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

უკრაინაში. უკრაინის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სრულიათ რუსეთის „ჩრეზვიჩაიკის“ უკრაინის განყოფილების გამგეს კარლსონს შემდეგი განუცხადებია: აჯანყებები და მახნოვშჩინა უკრაინაში ამ ჟამად არ წარმოადგენს არავითარ საფრთხეს. ბანდისტებისა, ანარქისტების და საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგეთა ძალები სავსებით დაქსაქსულია. ამ ჟამად ბანდების გამოსვლას უკრაინაში ნაკლებათ შეხვდებით. („პრავდა“, №89).

„ჩაქრობის“ ნიმუშები?!.

ვ. მაიერხოლდის ტანჯვა-წამება. „იზვესტია“ № 90 სწერს: „ჩვენ მივიღეთ წერილი ცნობილ რეჟისორის ამხ. მაიერხოლდისა, რომელიც შემდეგნაირათ სწერს თავის ტანჯვა-წამებას, რომელიც მან განიცადა თეთრგვარდიელების ხელში ტყვეთ ყოფნის დროს: ამხ. მაიერხოლდი იალტის წითელი ჯვრის სანატორიაში იწვა, როდესაც ყორში თეთრებმა დაიკავეს. ავათმყოფი მაიერხოლდი გამოაგდეს სანატორიიდან. გაჩხრეკის შემდეგ ფელიუგით იგი გაქცეულა ნოვოროსიისკში, რომ აქედან საქართველოში წასულიყო. მაგრამ ის გეგმა ჩაფუშულ იქნა პეტროგრადელ ვექილის ბობრიშჩევ-პუშკინის (შვილის) ჯაშუშობის წყალობით; ამხ. მაიერხოლდი დაიჭირეს და ჩასვეს ციხეში, სადაც იგი იჯდა წითელი ჯარის მისვლამდე. ამჟამად ამხ. მაიერხოლდი განაგებს ნოვოროსიის საბჭოს ხელოვნებათა განყოფილებას; ახლო მომავალში იგი აპირებს მოსკოვში წასვლას“.

ამხ. მაიერხოლდი, ამხ. უეინი, ამხ. ერმოლოვას ქალი და სხ.

ასეა ახლა.

მაგრამ განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ბატონნი ბალშევიკები ხალხს მოუწოდებდნენ **საერთოდ** ინტელიგენციის წინააღმდეგ?!.

ვისთვის, ან რისთვის არსებობს მუშათა დ გლეხთა ინსპექცია? ვილაც მუშა ქალი „პრავდის“ № 89 შემდეგ წერილს ათავსებს: „მე წაველი მუშათა და გლეხთა ინსპექციაში გასულ სამშაბათს. საჩივარი ჩემგან მიიღეს და მითხრეს გამოვცხადებულიყავი ორშაბათს. დანიშნულ დროზე მიველი, მაგრამ გამგე არ დამიხვდა. მიველი მეორე დღეს, ის კიდევ არ იყო. „არც იქნება დღესო“— მითხრეს, საჭირო იქნება კიდევ მოხვიდეთო. თვითეულ შემთხვევაში მე ვკარგავ ერთ ნახ.—ორ საათ დროს. მნახველებს იღებენ 10-დან 4-მდე, ე. ი. მაშინ, როდესაც მე სამსახურში ვარ. მე ვკითხულობ: ვისთვის არსებობს მუშათა ინსპექცია, თუ მას მიღება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც მუშები სამსახურში არიან? და რისთვის არსებობს ეს ინსპექცია, თუ იქ საქმის გაკეთება არ შეიძლება?

ვისთვის არსებობს თვით „საბჭოთა“ მთავრობა?.. ყოველ შემთხვევაში, არა მუშებისა და გლეხებისათვის!..

„წვრილ სახელმწიფოთა იმპერიალიზმი“. „იზვესტია“-ს (№ 89) შემდეგნაირათ მსჯელობს ხალხთა თვითგამორკვევის საკითხის შესახებ: „რუსეთის რევოლიუციამ აქსიომათ აღიარა ის ჭეშმარიტება, რომ ყველა ხალხს აქვს ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება, შეუძლია კიდეც გამოეყოს იმ სახელმწიფოს, რომლის ფარგლებშიაც იგი ცხოვრობდა“. ასეთივე უფლება 1917 წლის 7 ნოემბრის ძალით მიეცა რუსეთის იმპერიის ფარგლებში მობინადრე ხალხთ. უნდა გვეფიქრა, რომ ეს ხალხები იხელმძღვანელებდენ მხოლოდ ამ პრინციპით და ხელს არ ჩასჭიდებდენ იმ ტერიტორიებს, სადაც ისინი უმცირესობაში არიან, რომ ისინი არ წამოაყენებდენ სამხედრო-სტრატეგიულ, აგრესიულ-მილიტარისტულ მოსაზრებებს და ასე გასინჯეთ, ეკონომიურ-იმპერიალისტურ მოსაზრებებსაც კი. ჩვენ არ ვეხებით საკითხს,—მართლა მშრომელი კლასი აყენებს ამ მოთხოვნილებებს, თუ არა; უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ამ წვრილ სახელმწიფოთა ბურჟუაზიული მთავრობები ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია დიდ სახელმწიფოების იმპერიალისტურ მტაცებლებისა; კიდევ მეტი,—არც ერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოს ჯერ არ წამოუყენებია ასეთი მოთხოვნილება, როგორსაც აყენებს, მაგალითად, პოლონეთი 1772 წლის საზღვრების შესახებ. ერთ მუჭა ლატვიას, რომელსაც არას დროს არ გააჩნდა საკუთარი ისტორია და დამოუკიდებლობა, რუსეთის ტერიტორიაზე თავისი პრეტენზიების გამართლება არც ისტორიულის, არც ეთნოგრაფიულის მოსაზრებებით არ შეუძლია; ერთ-ერთი მოსაზრება, რითაც იგი ამართლებს თავის პრეტენზიებს, არის სტრატეგიული და ეკონომიურ სარგებლიანობის ანგარიშები. იმპერიალიზმს თავისი ლოღიკა აქვს. და ლატვიამაც წარუდგინა სათანადო ქარტა საზავო კონფერენციას, რომლის მიხედვითაც ლატვიის სივრცე გაცილებით მეტია, ვიდრე შვეიცარიის, დანიის, ჰოლანდიისა და ბელგიის. რუსეთთან მოლაპარაკების დროს კი იგი ამითაც არ კმაყოფილდება და ახალ მოთხოვნილებებს აყენებს. ლატვიის ტერიტორია არ წარმოადგენს უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე ის ადგილები, რაზედაც ასე უსაფუძვლოთ იგი დღეს პრეტენზიებს აცხადებს. მაგრამ თუ ამ ადგილების მცხოვრებთა ბედის გადაჭრას დღეს ცდილობს ბურჟუაზიული ლატვია,—ნუ თუ უფრო მეტი უფლება არა აქვს რომელიმე მეზობელ, უფრო მძლავრ სახელმწიფოს გადაჭრას თვით ლატვიის ბედი? ასეთია არა იმპერიალისტური ლოღიკა...

ერთი სიტყვით, ისეთი „თვითგამორკვევა“, რომელიც ბალშევიკების კარაბადინში არ სწერია, ბურჟუაზიულია, მიუღებელია „გლეხთა და მუშათა“ მთავრობისათვისო—მორჩა და გათავდა!..

ინგლისელ მოქალაქეებს სურთ უშველონ საბჭოთა რუსეთს!.. ინგლისური გაზეთი „შეფფილდ-ინდეპენდენტ“ იტყობინება, რომ შეფფილდის მექანიკების კავშირს დაუდგენია:—გაგზავნოს რუსეთში თავის წევრების ნაწილი, როგორც სპეციალისტები, რუსეთის წარმოებისათვის („ეკონ. ჟიზ.“ № 93).

უშველიან კი?!..

ლექციები საგარეო ვაჭრობაზე. ბლოკადის მოხსნისა და საქონლის საგარეო გაცვლა-გამოცვლის გამო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აწყობს ლექციების სერიას საგარეო ვაჭრობის საკითხებზე. ლექციათა მიზანია—პოპულიარიზაცია ფართო პროლეტარულ მასსებში საქონლის საგარეო გაცვლა-გამოცვლისა, ჩანერგვა მუშების შეგნებაში საექსპორტო საქონლების წარმოებისა. („ეკონ. ჟიზნ“, № 93).

რა საჭიროა ლექციები ვაჭრობაზე?—ეს ხომ ბურჟუაზიული საქმეა!.. განა აღარ სწამთ კომუნისტებს საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც არ იქნება არც საბაჟო, არც სხვა ზღუდე?!..

„შრომის ულუფა“ პეტროგრადში. იმ მიზნით, რათა გაუმჯობესებულიყო მუშათა მდგომარეობა პეტროგრადში, შემოღებულ იქნა „შრომის ულუფა“, რომელიც დამყარებულია შემდეგ პრინციპზე: „ვინც მეტს მუშაობს,—მეტსაც სჭამს“. ძირითადი სანოვაგე, რაც ბარათებით უნდა განაწილდეს, არის პური, რომელიც თვითეულ მუშას ეძლევა ნახევარი გირვანქა თვითეულ ნამუშევარ დღეში, გარდა ჩვეულებრივ სამოქალაქო ულუფისა. გასულ 1919 წლის დეკემბრიდან „პეტროკომუნამ“ შემოიღო ორგვარი შრომის ულუფა: სამი მეოთხედი გირვანქისა (ბარათი ფორმა А) ეძლევა მათ, ვინც მძიმე სამუშაოს ეწევა ფაბრიკა-ქარხნებში და თავდაცვის საქმეზე; ნახევარი გირვ. (ფორმა Б) იმ მუშებს, ვინც შედარებით მსუბუქ შრომას ეწევიან. უკანასკნელი ულუფა ეძლევა აგრეთვე ორსულ ქალებს და ძუძუ მწოვარა ბავშვთა დედებს. მიმდინარე წელს დაიბადა აზრი იმის შესახებ, რათა უზრუნველჰყონ პურის ულუფით საბჭოთა დაწესებულებებში მომუშავე ყველა მოსამსახურენი, რომლებიც ხელს უწყობენ საბჭოთა რუსეთის ეკონომიურათ გაძლიერებას. ასეთ მოსამსახურეთათვის 1 თებერვლიდან დაწესებულ იქნა ახალი ულუფა—დღეში ერთი მეოთხედი გირვანქა. („ეკონომ. ჟიზნ.“, № 96).

$^1/_4$, $^1/_2$ გირვანქა პურს მაინც ვერ გაშორდა საბჭოთა რუსეთის ულუფა! იძულებითი შრომა, $^1/_2$ გირვანქა პური და ყვირილი, რომ ვინც ბევრს მუშაობს, ის მეტს სჭამსო!..

კვლავ პური და სხვ... 2 ნახ. წლის განმავლობაში სასურსათო საკითხი დონის ოლქში არ იყო დამაკმაყოფილებლათ გადაჭრილი. ცენტრალურ მაოთველობის მიმწოდებელი განყოფილების ცნობით პურის ფქვილი შემოუტანიათ მხოლოდ 23 პროც. საჭირო რაოდენობისა, სხვა სურსათ-სანოვაგე საჭირო რაოდენობის ხომ უფრო მცირე პროცენტს შეადგენს. პურის მაგიერ ბევრი შემოდიოდა კრუპა და ის ავსებდა პურის დანაკლისს, თევზი, ხორცი ღორის ქონი სრულიად არ ყოფილა, ამასთანავე ძალიან სუსტათ კმაყოფილდებოდა მოთხოვნილებები. არ იყო ასანთი, ძალიან მცირე იყო თუთუნი, ამასთანავე არ იყო საპონი რის ნაკლებობა განსაკუთრებით ემჩნეოდა ეპიდემიის დროს („ეკონ. ჟიზნ.“ № 93).

ისევ შიმშილი, ისევ უსუფთაობა!..

„წითელ“ აზერბეიჯანში

„ბაქოს პროლეტარიატის საჩუქარი“. ბალშევიკებმა 100 ვაგონი ქიშმიში გაგზავნეს ბაქოდან მოსკოვში. ამისთვის შეადგინეს სამი მატარებელი. ყველა მატარებლებზე წარწერა იყო: „ბაქოს პროლეტარიატის საჩუქარი ლენინს“. ქალაქი კი უქიშმიშოთ დარჩა.

საალყო წესები. ბაქოში გრძელდება საალყო წესები. 9 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა აკრძალულია. სროლა ქუჩაში განუწყვეტლივ სწარმოებს.

ბაქოს „სოვდეპი“. ბაქოში სოვდეპის არჩევნები ხდება. საარჩევნო აგიტაცია გაჩაღებულია. აგიტაციას ეწევიან მხოლოდ კომუნისტები, რომლებიც ტალახში სვრიან და აგინებენ „სოციალ გამყიდველ სოგლაშატელებს“. გაზეთ „კომუნისტში“ სწერია: „რაც ბაქოში დამყარდა საბჭოთა მთავრობა, მე არ შევხვედრივარ არც ერთ მენშევიკს და ესერს, რომ რამე ეთქვათ საბჭოთა

დღეს

საბჭოთა რუსეთსა და ფინლიანდიის შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო.

ყირიმის ფრონტზე გენ. ვრანგელის ჯარმა ქალაქი გენიჩესკი აიღო.

ბალშევიკების ცნობით, ბერეზინის რაიონში პოლონელები იხევენ.

ნორვეგიის კაბინეტი გადადგა.

გენერალური შტაბის ცნობა.

17 ივნისი.

გრძელდება მთა ოსეთის გაწმენდა მძარცველ ბრბოებისაგან.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

მთავრობის წინააღმდეგ ან სასარგებლოთო“. წერილის ავტორის მტკიცება არ არის მართალი, ზოგიერთ რაიონებში მენშევიკ-ესერები კი ებრძვიან კომუნისტებს, როგორც მაგალითად: „ელექტრონის ძალაზე“. ბიბიეიბატში და სხ.

მცხოვრებთა განიარაღება. ბაქოს მცხოვრებლებს 3 ივნისამდე ჰქონდათ მიცემული ვადა იარაღის ჩასაბარებლათ. ამის შემდეგ დაიწყო ქალაქში მცხოვრებთა მასსიური ჩხრეკა.

თივის კრიზისი. ბაქოში თივა აღარ იშოვება. ამის გამო მოხდა ცხენების აღრიცხვა. თივა ეძლევათ ბარათებით. მთელი ფურაჟის რეკვიზიცია მოხდა.

ბაქოს ციხეებში. „კომუნისტის“ გადმოცემით ბილოვის ციხე სავსეა ახლად შეპყრობილი „კონტრ-რევოლიუციონერებით“. ციხეში მოთავსებულია 1700 ტუსაღი. საბჭოთა მთავრობამ გადასდო 100 ათასი მანეთი ცენტრალურ საპყრობილეს შესაკეთებლად, რომელშიაც 200 „კონტრ-რევოლიუციონერი“ იქნება მოთავსებულიო.

პროტესტი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის ადერბეიჯანის დელეგაციის და ადერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ აგაევმა მიმართა პროტესტით მთელ კულტურულ კაცობრიობას იმ ამბების გამო, რომლებსაც ჰქონდათ ადგილი ადერბეიჯანში. ის აცხადებს პროტესტს პირველად ყოვლისა უცხო ძალის მიერ ადერბეიჯანის ოკუპაციის წინააღმდეგ; ხოლო იმ ფაქტს, რომ ადერბეიჯანმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა საბჭოთა რუსეთის ჯარებს, ხსნის მთელი ჯარების სომხეთის საზღვრებისაკენ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაშორებლათ გადაყვანით. ამან ხელი შეუწყო ადერბეიჯანის მალე დაცემას და რუსეთის ჯარების ბაქოში შესვლას. და აქ, ბაქოში, აგაევის სიტყვებით, ახალმა ძალამ ჩაიდინა მრავალი ძალმომრეობა; გამოსცა ბევრი ახალი აქტი, რაც მდგომარეობს ქვეყნის პოლიტიკურად დამორჩილებაში და ხალხის ნაამაგრის გატაცებაში. ამან გამოიწვია ჯერ ფარული წინააღმდეგობა და უკმაყოფილება ხალხისა, შემდეგ კი სტიქიურად წარმოშობილი აჯანყებები. ამაზედ კომუნისტებმა უპასუხეს ზარბაზნებით და სრულიად განადგურებულ იქნა ქალ. განჯის მუსულმანური ნაწილი. მოკლულ იქნა 8000 მუსულმანი, ხოლო 1500 მუსულმანი ქალი გააუპატიურეს რუსეთის წითელ არმიელებმა ქალაქში შესვლის დროს.

ეხლა უდიდესი ნაწილი ადერბეიჯანის ტერიტორიისა აჯანყებათა ცეცხლით არის მოცული და ადერბეიჯანის მოქალაქეთა სისხლით ირწყვება. შემდეგ აგაევი აღნიშნავს, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკის მხრივ არას დროს არ ყოფილა გადგმული რაიმე მტრული ნაბიჯი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ის მიისწრაფოდა დაემყარებინა მასთან კეთილი ურთიერთობა.

აგაევი აქცევს რა ამ გარემოებას ყურადღებას, მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე იქნას შეწყვეტილი ეს სისხლის ღვრა და ერის უფლების ფეხქვეშ გათელვა. და ბოლოს დასძენს: თუ რუსეთის წითელი ჯარები არ დასტოვებენ ადერბეიჯანის ფარგლებს, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა შემდეგში მოსალოდნელი ამბების შესახებ, სავსებით საბჭოთა რუსეთს დაეკისრებაო.

ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

ყირიმში (ოფიციალური ცნობა). მზვერავთა მიერ მიღებულ ნამდვილ ცნობების თანახმად წითლებს განზრახვა ჰქონდათ შემოეტიათ ჩვენთვის ყირიმის ველის რაიონში იმ მიზნით, რომ წაერთვათ ინიციატივა მოპირდაპირის, რომლის რეორგანიზაცია ახალ საფეხურზე მოხდა. სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. სლაშჩევის სადესანტო ჯგუფმა 24 მაისს, სრულიად მოულოდნელად წითლებისათვის, კირილოვკა-გორელოეს რაიონში გადასვლა დაიწყო. მიუხედავათ ზღვის საშინელ ღელვისა ჯარის გადასხმა სასურველად დამთავრდა. მტერი სალკოვა-მარიტოპოლის რკინის გზის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთისაკენ უკან იხევს. სალტის მიმართულებით გენ. პისარევის ნაწილებმა ერთი დაკვრით გაარღვია მოპირდაპირის გამაგრებული პოზიციები და ქალაქი გენიჩესკი აიღო. (სდს)

ჟენევა. „მიუნხენ პორტი“ იუწყება, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურს გერმანიაში ვადა უთავდებაო. შემდეგში ჯარში მხოლოდ მოხალისეებს მიიღებენ. უკანასკნელი ბრძანებით განთავისუფლებულია 173,000 ოფიცერი და ჯარისკაცი. მოხალისეებათ არავინ ეწერება.

ლონდონი. რკინის გზაზე მოსამსახურეთა შრომის ხელფასის აწევის მიზნით გადაწყვეტილია რკინის გზის ტარიფის გადიდება ბარგზე 10—20$^0/_0$-ით.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ $8^1/_2$ მილ. ფრანკ. დამატებითი გადასახადი დაამტკიცა. სენატმა ეს კანონპროექტი განიხილა და პალატას დაუბრუნა წინადადებით, რომ დამატებითი გადასახადები $9^1/_2$ მილ. გაადიდონ.

ბერლინი. მთავრობის თავმჯდომარემ დეპუტატ ტრინბორგს მინისტრთა კაბინეტის შედგენა მიანდო.

რომი. მოსკოვის უკანასკნელ რადიოს ცნობით იტალიის სოციალისტური მისია პეტროგრადში ჩასულა, საბჭოთა მთავრობას იგი აღფრთოვანებით მიუღია.

კონსტანტინოპოლი. იუწყებიან, რომ დიდი ვეზირი მოითხოვს ვადის გადადებას საზავო ხელშეკრულების შესახებ პასუხის მისაცემად, რასაც დაასაბუთებს იმით, რომ კონსტანტინოპოლისა და პარიზს შორის ძლიერ გაძნელებულია ტელეგრაფით კავშირის დაჭერა.

მომარაგების სამინისტროსაგან

იშვიათი მოვლენაა, რომ სტატისტიკური გზით შეკრებილი ცნობები აბსოლიტურ სინამდვილესთან ახლო იდგნენ. მითუმეტეს ეს ითქმის სასოფლო სამეურნეო სტატისტიკაზედ. კერძოთ კი, მოსავლიანობის სტატისტიკის შესახებ, რომელსაც არ მოეპოვება საშუალებანი, გარდა სუბიექტიურ წყაროებისა, ეს წყაროები კი ის ცნობებია, რომელსაც მიაწვდიან მას თვით მეურნენი. ასეთი ცნობები არა საიმედონია მაშინაც კი, როდესაც მათ მიმწოდებელთ არა აქვთ არავითარი მოსაზრება სინამდვილისათვის გადახვევისა. ცნობილია, რომ რუსეთის სტატისტიკა მოსავლიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდებოდა ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის და მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ, ყოველთვის ძლიერ დაშორებული იყო სინამდვილესთან, თუმცა ერთსაც და მეორე დაწესებულებასაც ამ დარგში ქონდა სათანდაო ხანგრძლივი გამოცდილება.

მით უმეტეს გადამეტებული იქნებოდა, რომ ჩვენს ახლად ფეხ-ადგმულ სტატისტიკას შესძლებოდა რამოდენიმეთ მაინც სინამდვილესთან დაახლოვებული ცნობები მოეწოდებინა. გარდა სხვა მრავალ დაბრკოლებათა, რომლებთან ბრძოლა ძლიერ ძნელია, მას უხდება იმუშაოს ისეთ ხანაში, როდესაც სოფლის მეურნე (როგორც ზევით ვსთქვით ერთად ერთი მიმწოდებელი ცნობების მოსავლის შესახებ), რეკვიზიციით დაშინებული თუ აღძრული იმედით სახელმწიფოს დახმარებისა, სთვლის თავისთვის სასარგებლოთ შემცირებულათ უჩვენონ თავისი მოსავალის ვარაუდი. ასეთი შეხედულებანი ნათლად დაამტკიცა სტატისტიკური კომიტეტის გასულ წლის მუშაობის შედეგებმა. მისი ანგარიშით მოუსავლობის გამო დეფიციტის დასაფარად შემოსაზიდ პურის ვარაუდი გამოიხატა არა ჩვეულებრივ ციფრში 21, 4 მილიონ ფუთში. ესე იგი, ერთ-ნახევარ-ჯერ წაალიცა მთელს მოსავალს, სინამდვილეში კი, აქამდე შემოზიდულია მთლად 1—1 ნახ. მილიონი ფუთი და როგორც ვხედავთ, ქვეყანა არ დამშეულა. ეს ფაქტი ნათლად გვიმტკიცებს, თუ როგორის სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ სტატისტიკურ ცნობებს. შემცირებული ვარაუდები, მოსავლის შესახებ, საშიში არიან კიდევ მით, რომ ქმნიან საშუალებას საზღაპრო სპეკულიაციისას, ფასების საგრძნობლად აწევისას.

ასეთივე არა სასურველი შედეგების გამოღება შეუძლია სავალალოთ იმ ცნობებსაც, რომელნიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ბორბის“ 129 ნომერში და სხვა გაზეთებში. ცნობები აღნიშნავენ, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის ვარაუდის მიხედვით მთელ რესპუბლიკაში ვითომც უზრუნველყოფილი იყვნენ ახალ მოსავლამდე მხოლოდ 41,9 პროც. მცხოვრებლებისა. ამ ანგარიშის სინამდვილე ისეთივე საეჭვოა, როგორც გასულ შემოდგომისა. წყარო ასეთ ცნობებისა იგივე სოფლის მეურნენი არიან, რომელთაც ბედი უღიმის მით, რომ ამით შესაძლებლობა ეხსნებათ თავიანთი მოსავალი გაანაღდონ სპეკულიატურ ფასებში. ბუნების სტიქიური მოვლენები გზას უხსნიან სპეკულიანტებს და ბოროტ-მოქმედთ არწმუნონ ხალხი, რომ ჩვენი ქვეყანა დგას შიმშილის აჩრდილის წინაშე.

მომარაგების სამინისტრო, რომელიც ფთხილად ადევნებდა თვალყურს პურის საკითხს რესპუბლიკაში, მოუწოდებს ხალხს სიმშვიდისაკენ, განგაშისათვის არ არის არავითარი მიზეზები. რა უბედურებასაც არ უნდა წარმოადგენდენ სეტყვა, წყალდიდობა და სხვა, ისინი მაინც ადგილობრივი ხასიათისანი არიან და გადამეტებით ნაზღაურდებიან ყველასთვის თვალ-საჩინო ნათესის სივრცის საგრძნობლათ გაზრდით. საუკეთესო მოსავლიან ადგილებში კახეთისა სახლის ბანებიც კი არ დარჩენილან დაუთესავი. როგორც არ მალავენ მცხოვრებნი საქმის სინამდვილეს, მიუხედავათ ამისა, სტატისტიკურ კომიტეტის მიერ შეკრებილ ცნობათა თანახმად, სივრცე ანეულის ნათესთა მაინც გაზრდილია ათზე მეტ პროცენტით. მომარაგების სამინისტრო დარწმუნებულია, რომ თუ ბუნების უბედურებანი ისევ არ დაგვატყდა თავს, მომავალი წლის მოსავალი უეჭველათ უკეთესი იქნება გასულ წელზედ. გარდა ამისა, რომ დათესილ მიწების სივრცე წელს გაცილებით მეტია ვიდრე გასულ წელს, თვით სამინისტროს მიერ ფართოდ დაყენებული გეგმა. ხორბლის შემოზიდვისა საზღვარ-გარეთიდან, თავდებია იმისი, რომ არავითარ შიშს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ამასთან ერთად სამინისტროს გეგმაში შედის სასტიკათ ებრძოლოს კონდრაბანდულათ საქართველოს საზღვრებიდან პურის გაზიდვას. სამინისტრო დარწმუნებულია, რომ ამ მხრით ის იპოვის საზოგადოებაში სრულს თანაგრძნობას და საჭირო დახმარებას.

სასტიკი ბრძოლის გამოცხადებით ყოველივე ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ, დამშვიდებული და კრიტიკული შეფასებით ყოველივე იმ ხმებისა, რომელსაც ავრცელებენ ჩვენი მტრები საზოგადოებაში აურ-ზაურის შესაქმნელათ, სამინისტროს შეძლება მიეცემა ოდნავათ მაინც შეუმსუბუქოს ის მოვალეობა, რომელიც მას აწევს. აქეთკენ მოუწოდებს ის საზოგადოებას.

ოსების აჯანყება და ჩრდილო-კავკ. კომუნისტები

კავკასიის კომუნისტების გაზეთი „სალდატ. რევოლიუციის“ 4 ივნისის ნომერი სხვათა შორის შემდეგსა სწერს: „აჯანყება, რომლის შესახებაც ჩვენ თავის დროზე ვწერდით, ფართოვდება და ფეხს იკიდებს. სამხრეთ ოსეთის პროლეტარიატი ემზადება სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს ქართველ ჯალათებს—ჟორდანიას მთავრობას.

როდესაც განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღები შეიჭრენ ჩრდილოეთიდან სამხრეთ ოსეთში, მშრომელი მთის ოსებმა გამოაცხადეს თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა მთავრობა. მიმართავენ რა რუსეთის საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, სამხრეთ ოსეთის ყრილობის წარმომადგენლები, პროტესტს აცხადებენ, რომ ისინი ძალით შეუერთეს ბიუროკრატიულ რუსეთის ნაბიჭვარ სოციალ-გამყიდველების საქართველოს რესპუბლიკას. მთას ესმის ეს ხმა, ესმით გამხეცებულ მენშევიკების კბილების კრაჭუნი და წინასწარვე გრძნობენ, რომ დაკოჟებული ხელები რუსეთის პროლეტარიატის, მიეშველება მათ“.

ასე „იცავენ“ და „ასრულებენ“ მოსკოვში საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულობას ჩრდილო კავკასიის კომუნისტები!..

ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი?..

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

17 ივნისი.

ბალშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

ბერეზინის სათავის რაიონში ჩვენი ნაწილები მტერს სდევნიან. ჟმერინკის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც წარმატებით მისდევდნენ უკან დახეულ მტერს, ხელთ იგდეს ქალ. ბრაცლავის ხაზი.

რუმინიაში.

რუმინეთის წყაროებიდან მოსულ უკანასკნელი ცნობების თანახმად ახალი სერიოზული შეტაკება მომხდარა მუშებსა და ჯარს შორის. მკვდარია 40 კაცი, დაჭრილია 140. ამის გამო მთავრობამ კომუნისტების პარტია გამოაცხადა კანონს გარეშე და განკარგულება გასცა პარტიულ ორგანიზაციათა მოსპობის შესახებ. ამგვარად ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

ყირიმის ფრონტზე.

მოსკოვი, ივნ. 17. თეთრგვარდიელთა ჯარების ძირითადი მასა აღარ არსებობს. ვრანგელი კერზონის დიპლომატიურ ნოტების, ლოიდ ჯორჯის ლაპარაკისა და უმთავრესად კი ჩერჩილის ყუმბარების დახმარებით ფიქრობს ზურგს უკან მოექცეს ჩვენ ჯარებს. ეხლა ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ ყირიმი ვრანგელის ჯარებისაგან. ვაი მას, ვინც საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს. ჩვენი მდგომარეობა პოლონეთის ფრონტზე ეხლა დამაკმაყოფილებელია. მაგრამ რომ ჩვენ შეგვეძლოს ჩვენი შეტევის განვითარება, საჭიროა ფრონტი განუწყვეტლივ საზრდოობდეს და ახლდებოდეს.

ამერიკული ცნობები.

(ლონდონიდან)

რუსეთის შიმშილი.

პარიზიდან ატყობინებენ „ჩიკაგო ტრიბუნს“: მოსკოვსა და პეტროგრადში შიმშილით იხოცებიან, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ქალაქები და სოფლები იხოცება სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის გამო. ორ წელზე მეტია, რომ ხალხი არსებობისათვის საჭირო საქმეს არ ღებულობს. პური ნახევრად თივისაგან შესდგება, ტალახიანი და მჟავეა. რუსი მოქალაქეების უმთავრეს საჭმელს წარმოადგენს ასეთი პური და მოცვის ჩაი. იხოცებიან გამოფიტვისაგან შიმშილისაგან და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის უნარის დაკარგვის გამო. პეტროგრადის მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა. მუშებს არ სურთ ქალაქში დარჩენა, თუ მათ რაიმე ოდნავი შესაძლებლობა კი ნახეს სოფლებში მოსაწყობად. დარჩენილნი ადრე, თუ გვიან დაიხოცებიან.

ფრანგული ცნობები.

ნორვეგია.

კნუდსენის კაბინეტი, რომელსაც 1913 წლიდან ძალა - უფლება ხელთ ეპყრა, გადადგაო.

ავსტრიაში.

ვენაში ეროვნული ყრილობის მთავარი კომისიის სხდომაზე პარტიები შეთანხმდენ ახალი არჩევნების დანიშვნის აუცილებლობის შესახებ. თუ შესაძლებელი იქნება არჩევნები შემოდგომაზე მოხდება. გადაწყდა აგრეთვე, რომ რენერის კაბინეტი ახალ არჩევნებამდე მთავრობის სათავეში დარჩებაო.

გერმანიაში.

ბერლინში ფიქრობენ, რომ ახალ კაბინეტში შევლენ დემოკრატები ცენტრი, ბავარიის სახალხო პარტია და გლეხთა ჯგუფიო. სოციალ-დემოკრატები პრინციპიალურად არ ჩაუდგებიან ოპოზიციაში და სახალხო პარტია აღნიშნულ კაბინეტს მხარს დაუჭერსო.

მისია მცირე აზიაში.

დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ გადასწყვიტა აღმოსავლეთში გაიგზავნოს მისია მცირე აზიაში საფრანგეთის ინტერესების ადგილობრივ დაცვის შესასწავლად.

ფინეთ-რუსეთის მოლაპარაკება.

„მატენის“ ცნობით, დორპატში ფინეთისა და ბალშევიკების დელეგატთა შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. ფინეთის დელეგატმა წინასწარ პირობათ დააყენა, რომ რუსეთმა უარი განაცხადოს ქალაქ პეჩენგაზე და აღმოსავლეთ კორელიზე.

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის საბჭოს ყრილობა უნდა შემდგარიყო ორშაბათს, მაგრამ გადადებული იქნა სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პრინც ფირუზის საფრანგეთის წარმომადგენელ დე-ფლერიოსთან თათბირის გამო. „პტი პარიზიენი“-ს ცნობით ფირუზმა აღნიშნა, რომ მოსკოვის მთავრობამ წინადადება მისცა მას პირდაპირ მოსალაპარაკებლად. საბჭოს ყველა წევრმა აღიარა, რომ ამ ახალმა გარემოებამ სულ უნდა გაანადგუროს ლიგის მოქმედებაო.

ახალი ამბები

◆ **ფოთის ჭაობების ამოშრობა.** მიწად-მოქმედების სამინისტროს წყლის განყოფილებამ შეადგინა ფოთის ჭაობების ამოშრობის გამოკვლევის გეგმა. გამოკვლევისათვის თხოულობენ $1^1/_2$ მილიონ მანეთს. მუშაობა ერთ წელიწადს გასტანს.

◆ **რკინის გზელთა კავშირი.** რკინის გზელთა პროფესიონალური კავშირი ამუშავებს საკითხს რკინის გზების მოსამსახურეების და მუშების კატეგორიებათ დაყოფის შესახებ.

◆ **უმუშავართა ფონდი.** უკანასკნელი კვირის განმავლობაში უმუშავართა ფონდში შევიდა: 10,000 მ. ქალაქთა კავშირიდან, 1000 მ. რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან, 5125 მ. „მეფისტოს“ მოსამსახურეებისაგან, 1000 მან. სცენაზე მოღვაწეთა კავშირისაგან, და 14,000 მ. კაფე-ინტერნაციონალის კონცერტებიდან. სულ უმუშევართა ფონდში 125,000 მ. არის.

◆ **ამხ. ბიქტორ თევზაია გვთხოვს** გამოვაცხადოთ შემდეგი: „მეორე პარტიულ ყრილობის ანგარიშებში ჩემი სიტყვები, რომელიც ეხებოდა ცენტრალურ კომიტეტის მუშაობას, არ არის სწორედ გადმოცემული: მე, რასაკვირველია, არ მითქვამს, რომ „სახელმწიფო და პარტია ერთიაო“. ამისთანა აზრს ვერ ვიტყოდი, რადგანაც ეს არ შეესაბამება არც ნამდვილ მდგომარეობას, არც ჩემს თეორეტიულ შეხედულებას სახელმწიფოზედ. მე ვსთქვი, რომ „მთავრობა არის სოციალ-დემოკრატიული და პარტია პასუხის მგებელია მის მოქმედებაში“. ყველა სხვა გაზეთებმა სწორად გადასცეს ჩემი აზრი“.

◆ **ყარაიაზის რაიონი.** ტფილისის ერობამ საკითხი აღძრა იმის შესახებ, რომ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიეპყრას ყარაიაზის რაიონს, სადაც აქამდის კვლავ თარეშობენ ყაჩაღები რომლებიც ერობის მოღვაწეთ ხელს უშლიან მუშაობაში.

◆ **მადლობა აკ. ჩხენკელისაგან.** აკ. ჩხენკელი გვთხოვს მოვათავსოთ მისი უღრმესი მადლობა იმ მრავალ მეგობარნაცნობებისადმი, რომელთაც ინებეს პირადათ თუ წერილობით მონაწილეობის მიღება მის მწუხარებაში საყვარელ მამის დაკარგვის გამო.

◆ **ტფილისში აღმოაჩინეს** ორგანიზაცია, რომელიც ციხეებში დატყვევებულთ ყალბი მოწმობებით ანთავისუფლებდა. გამოძიებას ამ საკითხის შესახებ სისხლის სამართლის მილიციის უფროსთან ერთად იუსტიციის სამინისტროს განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელე აწარმოებდა იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გ. ჟორდანიას პირადი ხელმძღვანელობით. მიღებული ენერგიული ზომებით ყველა მონაწილე დაიჭირეს. აღმოაჩინეს ბეჭდები. საქმე პროკურორს გადაეცა.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო** ფიქრობს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლისათანავე დაიწყოს მასთან მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან საფოსტო-სატელეგრაფო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.

◆ **სოციალური დახმარება.** სოციალური დახმარების კომიტეტში განიხილეს საკითხი იმ პირთა ქვეშევრდომობის შესახებ, რომელნიც შუამდგომლობდენ დახმარების შესახებ. დაადგინეს ჩამომავლობით ქართველთ არ სთხოვონ იმის საბუთი, რომ ის საქართველოს ქვეშევრდომია; არა ქართულ ჩამომავლობის მთხოვნელებმა კი უნდა წარადგინონ ოფიციალური მოწმობები მათი ქვეშევრდომობის შესახებ. ამის შემდეგ სოციალურ დახმარების კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება უარი უთხრან დახმარებაზე იმ ინვალიდებს, რომელნიც ეხლა სამსახურში იმყოფებიან და აგრეთვე არ შეამოწმონ შრომის უნარის დაკარგვის დასამტკიცებლად ის პენსიონერები, რომელთაც 55 წელს მიაღწიეს.

◆ **„ნემსის“ კავშირში.** კავშირის გამგეობამ დაადგინა მისცეს წინადადება ყველა სახლში მომუშავეთ გადავიდნენ სახელოსნოებში. ამ შემთხვევაში ასეთ მუშებზე კოლექტიურ ხელშეკრულების ნორმები გავრცელდება და სამუშაო დღე 8 საათით შემოიფარგლება. ვინც არ დაექვემდებარება, გადაწყვეტილია ის კავშირის წევრად არ მიიღონ და ვინც კი უკვე არის კავშირში, გამოირიცხონ.

◆ **ფრონტისათვის.** დეპ. აკ. ჩხენკელმა, როგორც დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ, მიიღო სოხუმიდან 10 ივნისის თარიღით შემდეგი წერილი: ამასთანავე ერთათ გაახლებთ ამანათით ფუთ-ნახევარ თუთუნს, რომელიც შეიძინეს სოხუმის ფოსტა-

სადღეისო შენიშვნები

4.

მეცნიერულ სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ.

როგორც ვიცით, ბალშევიკებმა თავის დროშიდან წაშალეს სახელწოდება, „სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია“ და ამაზე დაწერეს „კომუნისტური პარტია“, ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

რევოლიუციის მსვლელობაში ბალშევიკებმა ისეთი ნახტომი გააკეთეს მარქსიზმიდან ანარქიულ კომუნიზმისაკენ, რომ თვით იგრძნეს „სოც.-დემოკრატიის“ სახელწოდების უხერხულობა, თავის ფაქტიურ ევოლიუციას, ცვლილებას მათ შესაფერი ფორმა მისცეს, შესაფერი სახელის მიღებით. სამუდამოთ შესცვალეს სოციალიზმი კომუნიზმით. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ბუნებრივი იყო ბალშევიკებისათვის.

მაგრამ საქმე იმაში კი არ არის. უწოდეს რა თავის თავს კომუნისტები, ბალშევიკებმა ქვეყანას ამცნეს, რომ ასეთი მათი გამოსვლა, ასეთი მათი ქცევა წარმოადგენს საერთაშორისო სოციალიზმის ისტორიაში ახალ ხანის დასაწყისსო. მათ განაცხადეს, რომ ამით საფუძველი ეყრება III ინტერნაციონალს, რომელიც შეარიგებს I და II ინტერნაციონალს, ვიღებთ რა პირველისაგან სახელწოდებას და **ტაქტიკას**, მეორესგან კი მუშათა მოძრაობის **თეორიულ** დასაბუთებას, ე. ი. მეცნიერულ სოციალიზმს.

მართალი არის ეს? განა შესაძლებელია ტაქტიკა, სამოქმედო საშვალება გამოვყოთ თეორიისაგან? განა ამა თუ იმ პარტიის სამოქმედო ხაზი, ტაქტიკური ნაბიჯები ლოგიურათ არ გამომდინარეობს მის თეორიულ სწავლებიდან, იმის მიხედვით თუ როგორ უცქერის ესა თუ ის პარტია საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას? ეს, რასაკვირველია, ასე არის.

ბალშევიკებმა პირველ ინტერნაციონალის ტაქტიკის მიღებით ჯერ კიდევ სახელის გამოცვლამდე შეითვისეს ძველი კომუნიზმის მთელი შინაარსი. ყველა მათი პრაქტიკული ნაბიჯები, მთელი სამოქმედო ტაქტიკური ხაზი, რომელიც ბალშევიკებს გაჰყავდათ რევოლიუციის განმავლობაში, სრულიად ბუნებრივათ აიხსნება სწორეთ მათი თეორიულ კომუნიზმით.

რომელ არქივიდან ამოიღეს ბალშევიკებმა თავისი სახელწოდება და ტაქტიკური საშვალებანი? როგორც ვიცით პირველი ინტერნაციონალი აღმოცენდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის კომუნიზმის საფუძველზე. ეს კომუნიზმი წარმოადგენდა თეორიულ გამოხატულებას იმ დროის მუშათა მოძრაობის, როდესაც პროლეტარიატის წრეებს შეადგენდა საგრძნობი ნაწილი წვრილბურჟუაზიულ, ნახევრათ პროლეტარულ, ნახევრათ ანირქისტულ ელემენტებისა. ამ მოძრაობის ბელადები იყვნენ, ბაკუნინი, ბლანკი, კაბე, ვეიტლინგი და სხვები.

რას წარმოადგენდა ეს კომუნიზმი, რომლისგანაც ბალშევიკებმა სახელწოდება და ტაქტიკა მიიღეს? ეს იყო ერთის მხრით გაურკვეველი, ჩამოუყალიბებელი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა და მის ცხოვრებაში გასატარებელი საშვალება — შეიარაღებული ამბოხება, მუდმივი შეთქმულება არსებულ წყობილების დასანგრევათ. ბლანკისა და ბაკუნინის ეს კომუნიზმი წარმოადგენდა უდიფერენციაციო მასის გამოურკვეველ უკმაყოფილების იდეოლოგიას.

ის შეეფერებოდა პროლეტარიატის გათვითცნობიერების იმ საფეხურს, როდესაც მას ჯერ ჩამოყალიბებული კლასობრივი შეგნება არ ჰქონდა, როდესაც მისი კოლექტივისტური შეგნება ჯერ კიდევ ინსტიქტიური იყო, მას არ ჰქონდა პოლიტიკური აღზრდა, შესაფერი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისათვის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზანთა შეთანხმებას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ამ ორ მომენტთა შორის.

თვით მაშინდელი კომუნისტური პარტია იყო პირველი ცდა მუშათა კლასობრივ შეგნების გამოხატულებისა. ეს იყო ნახევრათ ინსტინქტიურ, ნახევრათ შეგნებულ ტენდენციათა ერთგვარ ორგანიზაციულ ფორმებში გამოსახვა. ის აერთებდა არა მარტო პარიზისა და სხვა სამრეწველო ცენტრთა პროლეტარიატს, არამედ წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტთა საგრძნობ ნაწილს—ხელოსნებს, დურგლებს, თერძებს, ზეინკლებს, მექუდეებს, ხელზე მოსამსახურეებს და სხვებს, მომავალ პროლეტარებს. ამიტომ მაშინდელი კომუნიზმი იყო, ასე ვსთქვათ, ინსტიქტიური, ნახევრათ სოციალისტური, ნახევრათ წვრილბურჟუაზიული და ამიტომ საგრძნობლათ ანარქისტული.

აქედან ადვილი გასაგებია, რა ხასიათის უნდა ყოფილიყო მაშინდელი კომუნიზმი. ის დამყარებული იყო მუშათა კლასის და საზოგადოთ ხელოსანთა გაჭირვებულ მდგომარეობით გამოწვეულ სულის განწყობილებაზე, მათ მიერ კერძო საკუთრების ინსტინქტიურს უარყოფაზე. მას არ ჰქონდა არავითარი ისტორიულ-მეცნიერული დასაბუთება, არამედ ეს იყო უფრო კომუნიზმი წვრილბურჟუაზიული, აქ სჭარბობდა **იდეა ქონების დაყოფისა**. სხვანაირათ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საწარმოო ძალთა მდგომარეობა და მათზე დამყარებული წარმოების წესი მაშინ არ წარმოადგენდა შესაფერ ნიადაგს კოლექტივისტურ აზროვნების შესამუშავებლათ.

კომუნისტების უახლოესი მიზანი მკაფიოდ სჩანს ერთს მაშინდელ არალეგალურ პროგრამაში (1840 წ), სადაც ვკითხულობთ: „აი ჩვენი პრინციპები— ჩვენ გვსურს მუშათა თემი, ე. ი. ადამიანის ადამიანისაგან ექსპლუატაციის მოსპობა, მუშათა ნაციონალურ სახელოსნოთა დაარსება, სადაც შეიძლებოდეს **სამუშაო ქირის მუშათა შორის განაწილება**, სადაც არ იქნებოდა არც ბატონი და არც მოსამსახურე“. გერმანელი შტეინი სწერდა 1842 წ.: „საფრანგეთში წმინდა პოლიტიკურ მოძრაობათა დრო წავიდა, მომავალი რევოლიუცია შეიძლება იყოს მხოლოდ რევოლიუცია სოციალური“. („სენიობოსი, გვ. 124).

აი ასეთ იდეურ ატმოსფერაში მოღვაწეობდენ მაშინდელი კომუნისტები, ასეთ სულის განწყობილების იდეოლოგია იყო მაშინდელი კომუნიზმი, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. ახლო მომავალში ეკონომიურ ექსპლუატაციის მოსპობა, მუშათა ასოციაციების დაარსება რევოლიუციურ დიქტატურის საშუალებით, რაც შეიძლება განხორციელდეს მუდმივ გამოსვლებით, აჯანყებით—აი მაშინდელი კომუნიზმის პროგრამა. ტაქტიკა სავსებით შეეფერებოდა თეორიას.

ბალშევიკებმა, მიიღეს რა სახელწოდება და ტაქტიკა კომუნიზმისაგან, რომელიც გამოხატავდა პროლეტარულ შეგნების დაბალ საფეხურს, სცადეს მარქსის მეცნიერულ სოციალიზმის მასთან შეერთება! ბლანკისტური კომუნიზმი და მარქსიზმი! შესაძლებელია ასეთი შეერთება?

ეს იქნებოდა არა შერიგება, არამედ ტლანქი, მექანიკური შეერთება ორის შეურიგებელი მიმდინარეობისა. ეს ნიშნავს მეცნიერულის უტოპიურში გასრესას, ნიშნავს დიდი ნაბიჯით უკან დახევას, რადგან ბლანკისტურ კომუნიზმსა და მეცნიერულ სოციალიზმს შორის არის ძირითადი განსხვავება.

კომუნიზმი წარმოსადგენია ყოველგვარ ნივთიერ პირობებში, ის შესაძლებელია ნატურალურ მეურნეობაშიც, სოფელში, მეცნიერული სოციალიზმი კი გულისხმობს კაპიტალისტურ მეურნეობის უმაღლეს განვითარებას. სოციალიზმი ნიშნავს წარმოების საშვალებათა მთელი საზოგადოების ხელში გადასვლას, ის საერთოთ ცენტრალისტურია, ყველაფერი შედის სასტიკ ორგანიზაციულ ანგარიშში, კომუნიზმს კი ვხედავთ ყოველ ქალაქში, ყოველ დაბასა და სოფელში, მიტომ ის ანარქიულია, მიტომ არის, რომ რუსებში რამოდენიც ქალაქი და სოფელია, იმდენი დამოუკიდებელი კომუნა არსებობს: არის კომუნა პეტროგრადის, ყაზანის, კურსკის, ხარკოვის, კოზმოლემიანის, ტმუტარაკანის და სხვა.

ასეთ კომუნიზმით აიხსნება რუსეთის ბალშევიკების რწმენა, რომ ნახევრად ველურ ადერბეიჯანში, ხოცვა-ჟლეტის სკოლა განვლილ თათრებში შესაძლებელია დიქტატურის და სოციალიზმის დამყარება. ამითვე აიხსნება ქიამილ-ფაშის ურდოების „სოციალიზმიც“, თუ, რასაკვირველია, აქ არის გულწრფელობის რაიმე ნასახი ბალშევიკთა რწმენისა და არა დიპლომატიურ-იმპერიალისტური ხრიკები.

კომუნიზმი ნიშნავს დაყოფას, **თანასწორობას სიღარიბეში**, მეცნიერული სოციალიზმი კი თანასწორობას მძლავრ სიმდიდრეში. ამიტომ შეუძლებელია მათი შერიგება.

მაგრამ ბალშევიკებს თითქოს ჰქონდათ საბუთი მიეღოთ სახელწოდება „კომუნისტურისა“ და იმავე დროს დარჩენილიყვენ სოციალისტებათ და მარქსისტებათ. მარქსის და ენგელსის სახელგანთქმული „მანიფესტი“, ეს მუშათა კლასის სახარება, ხომ „კომუნისტურათ“ იწოდება. კომუნისტი მუშაც („კომუნისტი“ № 1) ასე ფიქრობს. მე ვარ კომუნისტი, რადგან ვიზიარებ „მანიფესტის“ აზრებს და თვით სახელი მისი „კომუნისტური“ ამის საბუთს მაძლევსო.

ერთის შეხედვით ეს მსჯელობა თითქოს დამარწმუნებელია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს „საბუთი“ არაფერს ბალშევიკებისათვის სანუგეშოს არ წარმოადგენს. „კომუნისტური მანიფესტი“ მათ არც შინაარსით, არც სახელწოდებით არ გამოადგებათ. ამ შესანიშნავ ნაწარმოებში ბალშევიკები თავის გამამართლებელს ვერც თეორიაში და ვერც პრაქტიკაში ვერ იპოვიან.

„მანიფესტი“ შესდგება ორ ნაწილისაგან:—თეორიულის და პრაქტიკულ ზომებისაგან. პირველი ნაწილი შეიცავს გენიოსურათ მარტივ ფორმებში მარქს-ენგელსის სოციალურ ფილოსოფიის პრინციპების აღნუსხვას. აქ სახელ-განთქმულ ავტორებისაგან პირველათ არის წამოყენებული ისტორიული მატერიალიზმის დებულებანი, საწარმოვო ხანათა რიგრიგობა, თანამედროვე წარმოების წესის დახასიათება და მისი მოსასპობი პირობანი. ბალშევიკების მთელმა სამი წლის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ მათ არაფერი საერთო არ დარჩენიათ „მანიფესტის“ ნაჩვენებ თეორიულ დებულებებთან, მის თეორიულ ნაწილში ისინი ვერაფერს სანუგეშოს თავისთვის ვერ აღმოაჩენენ.

რაც შეეხება „მანიფესტის“ პრაქტიკულ ნაწილს, მას თვით ავტორები უყურებენ, როგორც **დროებით, და არა ყოველგვარ პირობებში გამოსადეგ ზომებს**. 1872 წლ. წინასიტყვაობაში ისინი სწერდენ: „ამ დებულებათა პრაქტიკული გამოყენება ყოველთვის და ყოველგან დამოკიდებული იქნება **არსებულ ისტორიულ პირობებისაგან**, ამიტომ არსებითად დიდი მნიშვნელობა არ აქვთ არც იმ რევოლიუციონურ ზო-

ტელეგრაფის მოსამსახურეებმა, და გთხოვთ გაუგზავნოთ იგი ჩვენს სახელოვან მხედრობას საჩუქრათ. კანტორის უფროსი მ. ხოხიაშვილი.

— მე-9 ავლაბრის საქალაქო სასწავლებლის მოწაფეებისგან ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიიღო 600 მ. ეს ფული შემოვიდა მოწაფეთა მიერ გამართულ წარმოდგენაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა მშობელთა წრე.

◆ **მისიის ცნობით** სამხედრო ზარალის ანაზღაურებლად იტალიამ გერმანიისაგან 66,100 იტალიური ლირა უნდა მიიღოს.

◆ **ცენტრალური მუშათა კლუბი** (პლეხანოვის პ. № 123). შაბათს, 19 ივნისს კლუბის ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა ამავე კლუბის ფონდის გასაძლიერებლად. სხვათა შორის, გაიმართება წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

◆ **სოციალური დახმარება.** 19 ივნისს, საღამოს 5 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ავლაბრის რაიონის სოციალური დამხმარე საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრების საგანი: 1) გამგეობის მოხსენება. 2) 26 ივნისს სოციალური დახმარების დღის მოწყობა. 3) ახალი გამგეობის არჩევა და მიმდინარე საკითხები. ავლაბრის მოწავლე ახალგაზრდობას, განსაკუთრებით სტუდენტობას გამგეობა სთხოვს დაესწრონ ამ კრებას.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** 20 ივნისს, დილის 11 ს., ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია საქართველოს რესპ. წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა წლიური მორიგი კრება. განსახილველია საგნები: 1) 1919 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, 3) ინსტრუქცია წ. კ. გ. საზ. წიგნთ-საცავიდან წიგნებისა და ხელნაწერების სახლში სახმარებლად გაცემისათვის. 4) 1920 წ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში, 5) წ. კ. გ. საზ. ახალი წესდების პროექტი.

◆ **სასამართლოს განაჩენები.** იუსტიციის მინისტრმა ცირკულიარით აცნობა ყველა საოლქო სასამართლოებს მიიღონ ზომები, რათა სასამართლოთა დაწესებულებების ყველა განაჩენები იქნეს სისრულეში მოყვანილი პირველ ივ—დე. საოლქო სასამართ. წინადადება მიეცათ წარადგინონ უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი შეუსრულებელი სასამართლოს განაჩენი არის ამ ცირკულიარის მიღების დროს. ამასთანავე წინადადება მიეცა თვალყური ადევნონ სასამართლოს განაჩენების დროზე სისრულეში მოყვანას.

◆ **პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები.** სახ. განათ. სამინისტროს ნებართვით. დაარსებული პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები ალ. საათაშვილისა წელს დაამთავრეს შემდეგმა პირებმა. ქელბაქიანმა ნ. გ., შენგელიამ მ. ნ., ხამაშურიძის ასულმა ე. ლ., შენგელიას ასულმა თ. ნ., ყუბანეიშვილმა გ. ა., გიორგობიანის ასულმა ი. ს., ბოკერიას ასულმა მ. დ., არდიშვილმა მ. ლ., ფირალაშვილმა ნ. ზ., კლდიაშვილის ასულმა ვ. კ., ბარქაიას ასულმა ნ. ნ., ანჩაბაძის ასულმა ზ. კ., გველესიანმა ყ. ზ., გიუნაშვილის ასულმა, მ. დ., ნოდიამ თ. მ., დუნდუამ ნ. პ., გოდერძიშვილმა ი. ნ., მაისურაძემ ნ. პ., კიკნაძის ასულმა ო. მ., ჟღენტიმ ლ. დ., ქინქლაძემ ვ. ა., შერაშენიძემ ვ. ი, ჩინჩალაძემ მ., დუმბაძემ ს. ვ., ბერიძემ, შ. ნ., გეწაძემ გ. ს., ქაჯაიამ ა. თ., გორდელაძის ასულმა ე. კ., ამაშუკელმა გ. კ., მამალაძემ ხ. ფ., ბორჩხაძემ გ. ტ., პოველიძემ ა. გ., გალოგრემ ნ. გ., ბაკურაძის ასულმა ა. ი., გალოგრემ ს. ა., ჩაჩანიძემ პ. ყ., ჩიგოგიძემ ს. ვ.

◆ **გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის** ცნობით რომ მიმოსვლა, რომელიც უკანასკნელ წვიმების გამო შეჩერებული იყო სუმბათოვო-ბორჯომს შორის, აღდგენილია მიმოსვლა ბორჯომ-ბაკურიანის შტოზეც იწყება. ბილეთები იყიდება და ბარგსაც ღებულობენ.

◆ **მისალმება დამფუძნებელ კრებას.** დამფ. კრების თავმჯდომარემ ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: სოფ. უდის და ახლო მდებარე რაიონის მცხოვრებლებმა ქართველმა მუსულმანებმა და მართლმადიდებლებმა 12 ივნისის საჯარო ყრილობაზე მოისმინეს რა დამფ. კრების წევრის თ. კიკვაძის მოხსენება ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ერთხმად დაადგინეს: ყრილობა მიესალმება დამფუძნებელ კრებას და მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას და სიხარულით ეგებება საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდებას. ყრილობა საჭიროდ სთვლის მიიღოს უსასტიკესი ზომები მოღალატე ჯარისკაცების და აჯანყების ხელმძღვანელების წინააღმდეგ და გადამჭრელი ნაბიჯები ბათომის და ზაქათალის ოლქების შემოსაერთებლად. ყრილობა ფიცსა სდებს შესწიროს ყოველგვარი მსხვერპლი რევოლიუციის მონაპოვარის და საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცავად.

◆ **ნახშირის მტვერი.** ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ქვანახშირის საწყობის აშენებას შეუდგა, სადაც ჩაყრიან ნამტვრევ ნახშირს რომელსაც შემდეგ მიაწოდებს საწარმოო დაწესებულებებს ქვაბების გასათბობად. საწყობი მისცემს ნახშირის მტვერს იმ წარმოებას, რომელიც თფილისის ტერიტორიაზე მოქმედებს. სასურსათო განყოფილებამ გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებიდან ნახშირის მტვერის და ნამტვრევის დათმობის შესახებ. ასეთი ნამტვრევი, განყოფილების ცნობებით, ტყიბულში ნახევარ მილ. ფუთზე მეტი არის.

◆ **თავისუფალი ფასები ბაზარზე.** სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობებით ბაზარზე ამ ჟამად ასეთი თავისუფალი ფასებია საქონელზე: გარეცხილი მატყლი ფუთი 1800 მან., გაურეცხავი—1000—1200 მან., ჯაგარი გაწმენდილი 25000 მ., გაუწმენდავი 14000 მ., კახური ღვინო 800—900 მ., ვედრა. შაქარი რაფინადი 3200 მ., ფხვნილი 3000 მ., სიმინდი 1000 მ. ლობიო 640 მ., კარტოფილი 550 მ., გადამდნარი ერბო გირ. 220 მ., კარაქი 240 მ., ყველი 75—80 მან., 100 კვერცხი 700 მ., ფქვილი რუსული ფუთი 1700 მან., ადგილობრივი 1500.

კრებები.

პარასკევს, 18 ივნისს, საღ. 5 ს. შესდგება ჩვეულებრივი სხდომა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივისა, კახეთის ქ. № 1.

— პარასკევს, 18 ივნისს, საღ. 6 ს. შესდგება პირველი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა კოლექტივის მორიგი კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ქუთაისი. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა აცხადებს თავის წევრთა და არა წევრთა საყურადღებოთ, რომ 21 ივნისს, საღამოს 7 ს. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება.

კრებაზე გამოცხადებულ არა წევრთ სრული უფლება აქვთ მიიღონ კრებაში მონაწილეობა, თუ კრების გახსნამდის ჩაეწერებიან საზოგადოების წევრებათ.

შეცდომის გასწორება.

„ერთობის“ წინა ნომრის ფელეტონში კორექტურული შეცდომების გამო აზრი ბევრგან დამახინჯებულია. მკითხველებს ვთხოვ გაასწოროს უკანასკნელ სვეტის მე-3 სტრიქონი ამნაირად: „განა სახელმწიფოს არ შეუძლიან დახმარება აღმოუჩინოს“...

ლ. ნათაძე.

ფინანსთა სამინისტროში

ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრმა ვ. კოზლოვსკიმ შეიმუშავა კანონ-პროექტი იმ ზომების შესახებ, რომელნიც საჭიროა კრედიტის ნორმალური პირობების აღსადგენად. ამ კანონ-პროექტში განსაკუთრებით საყურადღებოა ის პუნქტი, რომელიც ეხება შენახვისათვის ჯილდოს მიცემას. საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილმა რუსეთის შემნახველმა კასებმა თავისი მოქმედება თითქმის შესწყვიტეს, ვინაიდან მცხოვრებლებმა ყოველივე რწმენა მათდამი დაჰკარგეს. ახლა განზრახულია ამ კასების სახალხო დამგროვებელ კასებად გადაკეთება. ამ კასების გამგეობად ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ადგილობრივი პირები მოიწვიოს, რომლებიც მცხოვრებლებში ნდობით სარგებლობენ. გამგეობას აირჩევს კასაში ფულის შემტანნი. გარდა ამისა, განზრახულია მიბარებულ ფულზე პროცენტების გადიდება, ვინაიდან ახლანდელი პროცენტი—$3^{1}/_{2}$ ვერავის დააკმაყოფილებს. გარდა ამისა, განზრახულია განსაკუთრებული ჯილდოს მიცემა შემდეგი ფორმით: ყოველ შემნახველ წიგნის მეპატრონეს, რომელსაც წლის განმავლობაში 1000 მ. ქონდა შენახული, უფლება ეძლევა სრულიად უფასოდ მიიღოს მონაწილეობა ლატარიაში, რომელშიაც ყოველთვიურად 1000 შემნახველ წიგნზე 1000 მ. ჯილდო გათამაშდება. ამრიგად, ყოველი 1000 მ. შემნახველს უფლება ეძლევა წლის განმავლობაში 12 ლატარიაში მიიღოს მონაწილეობა. კასებში ხალხის ფულის შენახვა ქართულ ეროვნულ ბანკს საშუალებას მისცემს დააგროვოს მბრუნავი თანხები და აქტიური ოპერაციები განავითაროს, რაც, რასაკვირველია, კარგ გავლენას იქონიებს სახალხო მეურნეობის და მრეწველობის აღორძინებაზე. (სდს).

წერილები ფრონტიდან

1.

/სად. სადახლოდან 2 ვერსის მოშორებით ს. ლამბალოში დაბანაკებულია №-ს ქვეითა რაზმი. თუმცა გამუდმებული წვიმა და სიცხეა, მაგრამ ჯარის სულიერი განწყობილება სამაგალითოა, რასაც ხელს უწყობს აფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის კარგი დამოკიდებულება.

№-ს რაზმის ჯარისკაცნი, მადლობას სწირავენ ყველა იმათ, ვინც ფრონტზე საჩუქრები გამოგზავნეს.

ჯარისკაცი **ვ. მთიულიშვილი.**

2.

საჩუქრები ფრონტზე.

ფრონტზე ჯარი მართლაც, რომ ბავშვია: ჯარს ცოტა სწყინს, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ცოტა ასიამოვნებს და ახარებს!..

დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ჯარის გამარჯვება დამოკიდებულია უკან მყოფთა კეთილ განწყობილებაზე,.. თუ ომის დროს როგორც მთავრობის, ისე მთელი ხალხის ყურადღება ფრონტისკენ არის მიქცეული—გამარჯვებაც აუცილებელია... მე მახსოვს რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ქ. ხარბინში, სამი იაპონელი დაიჭირეს, რომლებსაც უნდა „აეფეთქებინათ ხარბინში მდ. სურგანზე რკინის გზის ხიდი. გაჩხრეკის დროს რამდენიმე ათასი მანეთი აღმოაჩნდათ. როცა დასახვრეტათ გამოიყვანეს, მისამართები მოსთხოვეს: „ფულებს თქვენ ცოლშვილს გაუგზავნით“-ო. იაპონელებმა უარი განაცხადეს:

„არაა საჭირო ფულების გაგზავნა ჩვენი ცოლ-შვილისათვის, ვინაიდან იმათ ჰყავთ მზრუნველი მიკადო და მასთან ერთად ხალხიო, ამიტომ ჩვენი სურვილია ეს ფულები შესწიროთ თქვენ წითელ ჯვარსო“.

ასე დაიმედებულნი იყვნენ იაპონელი მეომარნი თავიანთი მთავრობისა და ხალხისა, თავიანთ ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ. ამიტომაც იყო, რომ იბრძოდენ გმირულად, რითაც, რა თქმა უნდა, რუსეთთან შედარებით ერთმა მუჭა ხალხმა გაიმარჯვა ვებერთელა რუსეთზე.,.

ამ თვალით ნანახ ამბავს მაგონებს დღეს ფრონტზე ჩვენი ჯარის ერთსულოვნება თავისი ქვეყნის თავისუფლების დაცვის სიყვარულში. ისინი, როგორც იაპონლები, გაიძახიან: „ჩვენი მთავრობა კარგია, ჩვენს ოჯახებს უყურადღებოთ არ დასტოვებს, მას მივყევართ სწორი გზით, ხალხის თანაგრძნობა ჩვენსკენაა, მაშ, რაა ჩვენი საქმე? მხოლოდ ბრძოლა. წინ, ძმებო! არცერთი ნაბიჯი უკან, თუნდაც ასი-ათასი მოგვადგესო“!

და, მართლაც, რომ ჩვენ ჯარს დღეს სასაყვედურო არაფერი აქვს ჩვენს მთავრობაზე, რადგან ის ყოველის მხრივ კმაყოფილია და გარდა ბრძოლისა მას არა აქვს რა საფიქრალი. ჯარი ხალხზედაც კმაყოფილია, ვინაიდან დარჩენილ ოჯახებს დიდ ყურადღებას აქცევენ—ამასთანავე ბრძოლის ველსაც არ ივიწყებენ, გზავნიან საჩუქრებს ისეთებს, რაც მებრძოლთათვის აუცილებლობას შეადგენს...

ამ დღეებში ფრონტზე (წითელი ხიდის მიმართულებით) გვესტუმრა: მთავარი დამხმარე კომიტეტის, პროფესიონალურ კავშირის, ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლები და მათთან ერთად დამფუძნებელ კრების წევრი ლ. მახვილაძის ასული, რომლებმაც ჯარს მოუტანეს სხვადასხვა საჭირო და აუცილებელი საჩუქრები: თუთუნი, პაპიროსები, სპიჩკა, კონიაკი, ღვინო, საპონი, გალეტი, კონფექტები, კარანდაშები, კონვერტ-ქაღალდები, შეკერული პატარა ტომრები და სხ. ყველა ეს საჩუქრები ერთად მართლაც რომ დიდი ღირებულებას შეადგენდა, როცა დანაწილდა—მცირედს, მაგრამ „სულით და გულით მოძღვნილმა მცირედმაც“ ჯარი ძალზედ გაახარა—იმედი ჩაუსახა, რომ ისინი არ არიან დავიწყებულნი, რომ ისინი ახსოვს ხალხს... №... სახ. გვ. ბატალიონი ულრმეს მადლობას უძღვნის როგორც შემომწირველთ, აგრეთვე საჩუქრებით ფრონტზე მოსულ ხსენებულ პირებს.

№... სახალხო გვარდიის ბათალიონის მონდობილობით **ირ. გოგოლაძე.**

საჩუქრები ახალციხის ფრონტზე

ახალციხიდან თფილისში დაბრუნდა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ს. ჟორჟოლიანი, სადაც მან საჩუქრების ტრანსპორტი წაიღო.

საჩუქრები გაგზავნილი იყო ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის სავაჭრო-სამრეწველო პალატის და პროლეტარიატის (პროფესიონალურ კავშირების) სახელით.

ჩვენ მოგვეცა საშუალება, ხთქვა ჟორჟოლიანმა, გავცნობოდით ჩვენი საპიორების და ჯარის ნაწილების მუშაობას. ისე ჩქარა აკეთებდნენ გზას, რომ მომუშავეთა ენერგია და გამოცდილება ჩვენში გაკვირვებას იწვევდა. ჩვენ ცოტა ხნით ახალციხეში შევჩერდით და დავტოვეთ იქ ნაწილი საჩუქრებისა. დანარჩენი წავიღეთ პირდაპირ ფრონტზე. კომისიას აღფრთოვანებით შეხვდნენ.

გადაეცით ზურგს, განაცხადა ჯარის წარმომადგენელმა, რომ ჩვენ ფიცს ვდებთ წმინდათ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ჩვენ გამოვასწორებთ ჩვენი უღირს ამხანაგების შეცდომას და დავანახვებთ სამშობლოს, თუ როგორ უნდა უყვარდეს იგი მის შვილებს. გადაეცით ჩვენი მთავრობის მეთაურს—ნოე ჟორდანიას, რომ მის პირველ დაძახებისთანავე ჩვენ მზათა ვართ წავიდეთ იქ, სადაც გაგვგზავნიან, მზათა ვართ შევასრულოთ ის, რასაც ჩვენი ხალხური მთავრობა გვიბრძანებს.

მცხოვრებნი თანაგრძნობით ეპყრობიან ჯარს. ფრონტი ტელეგრაფით და ტელეფონით კარგათ არის მოწყობილი. მოსაუბრის გადმოცემით მას ესმოდა სროლა აჭარიდან. დაზვერვამ გამოარკვია, რომ დამოკიდებულება აჭარლებს შორის გამწვავდა და რომ მათ უკვე რამოდენიმე შეტაკება მოუვიდათ ერთმანეთს შორის, რაც დაადასტურეს ახალციხეში მოსულმა გამოქცეულმა აჭარლებმა.

ჯარებმა გვთხოვეს გადაგვეცა მადლობა საჩუქრებისათვის თფილისის პროლეტარიატისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატისთვის. (სდს).

„უმუშევართა დღის“ ანგარიში

(21, 22 და 23 მაისს, 1920 წ.)

შემოსავალი—აღებული ბილეთების, ყვავილების, პროგრამების გაყიდვიდან და შემოწირულებები სახაზინო თეატრში დადგმულ წარმოდგენიდან 21 მაისს 120,615 მ. 50 კ., ქუდებით შეკრებილი 22 მაისს ფინჯან ჩაიებში და რესტორნებში—9,849 მ. 05 კ., ქალაქში ყულაბებით შეკრებილი 21 მაისს 54,205 მ. 58 კ., ქუდებით შეკრებილი კინემატოგრაფებში 23 მაისს 9,902 მ. 60 კ. სულ 194,542 მ. 73 კ.

გასავალი—გაზეთებს განცხადებებისათვის 5,777 მ. 40 კ., სახაზინო თეატრის წარმოდგენა 85,900 მ., ქუჩაში გამართულ კონცერტებისა 22 და 23 მაისს 1000 მ., წვრილმანი ხარჯები 3,994 მ, სულ 105,672 მ. 40 კ. დარჩა 88,900 მ. 33 კ.

შრომის ბირჟა მადლობას უძღვნის ყველა იმ პირებს, ვინც ხელი შეუწყო „უმუშევართა დღეების“ გამართვას.

შრომის ბირჟის გამგე **ნ. გიკი.**

მდგომარეობა ბორჩალოს მაზრაში

დამფუძნებელი კრების წევრი ი. ლორთქიფანიძე, რომელიც წასული იყო ბორჩალოს მაზრაში, თფილისში დაბრუნდა. საქრთ. დეპ. სააგენ. თანამშრომელთან საუბრის დროს ი. ლორთქიფანიძემ ბორჩალოს მცხოვრებთა განწყობილება დაახასიათა და აღნიშნა, რომ მათი საქართველოს მთავრობისადმი დამოკიდებულება არის მეტად კეთილსასურველი. მცხოვრებთა სხვა და სხვა მიმდინარეობანი, მრავალნი ეროვნებანი, რომლებიც ბორჩალოს მაზრაში არიან გაფანტულნი, საქართველოს სახელმწიფოებრივობას უჭერენ მხარს. ეს სავსებით გამოაშკარავდა უკანასკნელ საქართველო-აზერბეიჯანის ომის დროს, როდესაც ერობის ხმოსანთა ინიციატივით და ხელმძღვანელობით იქ იკრიბებოდა მდიდარი საჩუქარი ფულით და ნატურით ფრონტის სასარგებლოთ. მიუხედავათ მრავალრიცხოვან აგენტების მალული მუშაობისა და პროვოკაციისა, ადგილობრივმა მუსულმანობამ თავი შეიკავა და პროვოკაციის არ აჰყვა. მაზრაში არის სურსათის ნაკლებობა და ამ სფეროში მცხოვრებთ დახმარება ესაჭიროებათ. უკანასკნელმა წვიმებმა და სეტყვამ საშინლად იმოქმედა ბორჩალოს მაზრაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, წელს მოსავალს კარგს მოელიან. მაზრის ავათმყოფი ადგილი ეს ნეიტრალური ზონაა, რომელიც მას აკრავს. ეს ზონა. როგორც ეთნოგრაფიულად, ისე ეკინომიურად ბორჩალოსთან და თფილისთან არის დაკავშირებული. ეხლა კი ეს ტერიტორია თითქმის მოწყვეტილია. ფაქტიურად გამოვიდა ის, რომ მაზრის გვერდით ვიღაც ბნელი პირების თავშესაფარი ადგილი შეიქნა, სადაც იმალებიან მძარცველნი, ქურდები და ყაჩაღები. აღნიშნულია შემთხვევები, როცა ადგილობრივმა მძარცველებმა ჯოგი ნეიტრალურ ზონაში გადერეკეს. ეს მწვავე საკითხი როგორმე უნდა გადაწყდეს, მით უმეტეს, რომ ამ ზონის მცხოვრებთა უმეტესობა საქართველოსკენ მოისწრაფის, რის შესახებაც მათ თავის წარმომადგენლების პირით არა ერთხელ განუცხადებიათ როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ მთავრობისათვის. (სდს)

უცხოეთი

ლიტვა.

საზავო მოლაპარაკებისათვის. რუსეთ-ლიტვას შორის წარმოებულ საზავო მოლაპარაკების შესახებ ლიტვის გაზ. „ლისტუა“ სწერს: კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ლიტვა განთავისუფლდა ბოლშევიკებისაგან და ომი ფაქტიურათ გათავებულია. მიუხედავათ ამისა, საომარი განწყობილება გრძელდება. ეს, რასაკვირველია, არაა სასურველი და ლიტვის მთავრობამაც დაიწყო საზავო მოლაპარაკება. თავსამტვრევ საკითხად გაზეთს მიაჩნია საკითხი სამხედრო ზარალის ანაზღაურებისა და რუსეთის ვალების გადახდის შესახებ. ლიტვა თანახმაა მონაწილეობა მიიღოს იმ ვალების გადახდაში, რომელიც რუსეთს 1914 წლამდე ჰქონდა აღებული; მაგრამ იგი გადაჭრით წინააღმდეგია პასუხი აგოს ომის დროს აღებულ ვალების შესახებ.

შვეიცარიელ კომუნისტის პლატენის განთავისუფლება. ცნობილი შვეიცარიელი კომუნისტი პლატენი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ დაატყვევეს ლიტვაში, შვეიცარიის მთავრობის თხოვნის თანახმად განთავისუფლებულ იქნა და 10 მაისს გაიგზავნა შვეიცარიაში.

ფინლიანდია.

ინციდენტი სეიმში. 7 და 8 მაისს სეიმში გასარჩევი იყო ჯარის რეორგანიზაცია და ზავი რუსეთთან. დებატები გამოიწვია სოციალისტების შეკითხვამ. სეიმმა უარყო შეკითხვა, რის შემდეგ სოციალისტებმა ობსტრუქცია მოაწყვეს. პრეზიდენტმა ვერ აღადგინა წესრიგი და გადადვა. სოციალისტებმა მოითხოვეს ახალი პრეზიდენტის არჩევა. არჩევა 9 მაისს მოხდა. გავიდა აგრარიების კანდიდატი კალლიო, რომელმაც 81 ხმა მიიღო სოციალისტების კანდიდატის—72 ხმის წინააღმდეგ. სოციალისტებს თავიანთი გამოსვლით უნდოდათ კაბინეტის გადადგომა გამოეწვიათ, რომ შემდეგ შეედგინათ უფრო რადიკალური მთავრობა, რომელიც ზავს შეკრავდა საბჭოთა რუსეთთან. („ტაიმსი“.)

ინდოეთი.

ინდოეთის მუსულმანობა და ინგლისი. ლონდონის გაზეთი „დაილი ჰეროლდმა“ ინდოეთიდან მიიღო იმ რეზოლიუციის შინაარსი, რომელიც გამოტანილ იქნა მიმდინარე წლის 1 მაისს ქ. ფიზაპატაში მუსულმანთა კონფერენციაზე. რეზოლიუციის შინაარსი შემდეგია: ვინაიდან საზავო კონფერენცია და ბრიტანეთის მთავრობა მტრულად ეკიდება ისლამს და მის მთავრობას,—კონფერენცია საჭიროთ სთვლის აცნობოს ინგლისის მთავრობას, რომ უმჯობესია არ მივიდეს ინდოეთში ინგლისის მიერ დანიშნული ვიცე-კოროლი ჰალსკი, სანამ დაკმაყოფილებული არ იქნება მთელი ქვეყნის მუსულმანობის მოთხოვნილება ხალიფატის შესახებ.

ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა

ოთხშაბათს გაიხსნა საქართველოს ქალაქთა წარმომადგენლების მე-3 ყრილობა. ყრილობის გახსნას დაესწრენ დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის წევრნი: ალ. ლომთათიძე, ს. მდივანი, ექ. თაყაიშვილი; მინისტრები: ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი; მინისტრის ამხანაგები: ნ. ჰეჟინაძე და ს. ავალიანი.

კრება გახსნა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ელიავამ.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. ჩხიკვიშვილი, მის ამხანაგათ გრ. გველესიანი, მდივნებათ: კ. ხახანაშვილი და იურ. ბადრიაშვილი.

თავმჯდომარის მოკლე სიტყვის შემდეგ ყრილობა ადგენს მისალმების დეპეშა გაუგზავნოს შეიარაღებულ ძალებს სამხედრო მინისტრის სახით.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ: დამფუძნებელი კრების სახელით: ექ. თაყაიშვილი, მთავრობის სახელით ნ. რამიშვილი, ფინ. მინ. ამხ. ს. ავალიანი და ერობათა კავშირის თავმჯდომარე ნ. ჰეჟინაძე.

შემდეგ კრება მცირეოდენ შესწორებით ამტკიცებს დღიურ წეს-რიგს, რომელსაც დაემატა ერთი საკითხი—რესპუბლიკაში და კერძოთ ქალაქებში ცეცხლის ჩაქრობის საქმე.

ნეკროლოგი.

ამხ. სამსონ მდინარაძის ხსოვნას

ერთი წელიწადი სრულდება, რაც დემოკრატიულ ბანაკს გამოაკლდა აქტიური მუშაკი სამსონ მდინარაძე. ვფიქრობ, იშვიათია ისეთი ძველი პარტიული მუშაკი, რომელიც მას არ იცნობდეს, განსაკუთრებით ვისაც გურიაში უმუშავნია. განსვენებულს ბუნებრივ ნიჭისა და მახვილი გონების მეოხებით თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მოწინავე მომუშავეთა შორის, 1903 წლიდან ის შეუწყვეტლივ მუშაობდა ბახვის რაიონულ ორგანიზაციაში და გურიის კომიტეტში. მანვე იკისრა ამხ. ბ. ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით კრილოვ-ტოლმაჩევის რეაქციის დროს დაშლილი ორგანიზაციების ხელ-ახლა მოწყობა, და ასეთს საშიშარ და საბედისწერო დროს დავიწყებული ქონდა საკუთარი ოჯახი, საკუთარი „მე“. ამ მუშაობით მან დაიმსახურა მთავრობისაგან სასტიკი დევნა, რასაც მოჰყვა მშობლების და ოჯახის შევიწროება. შემდეგ მას ვხედავთ ჭიათურაში, სადაც იგი მხნეთ ეწევა საყვარელ საქმეს. რევოლიუცია მას უსწრებს ტრაპიზონში, სადაც ერთ მეთაურ ხელმძღვანელის როლს აკისრებენ ამხანაგები. აქედან მიეშურება ბათუმის დასაცავათ, ადგენს რაზმს და უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძვის; ბოლოს რჩება ტყვეთ და დიდის ვაი-ვაგლახით თავს აღწევს ტყვეობას და მიეშურება გურიაში, რომ მოწინავეთა რაზმში ჩადგეს. ამის შემდეგ ის ხალხის თხოვნით და ამხანაგების დავალებით დგება ბახვის კომისრად და 5 თვის განმავლობაში უსასყიდლოთ ემსახურება საზოგადოებას. აქედან ის მიდის თფილისში, სადაც მოსყიდულმა ნაძირალებმა პირადულ ნიადაგზე მოულოდნელად მოუსპეს სიცოცხლე ამ ხალხის დარაჯს, მისთვის თავდადებულ სამსონს. განსვენებული მეტის-მეტი პირდაპირი, სიმართლის დამცველი, პირში მამხილებელი, ყოველივე ბნელი საქმის ფარდის ამხდელი იყო.

მართალია, ვერ მოსწრო სამსონი სავსებით მისი მუშაობის ნაყოფს, მაგრამ მისი ამხანაგები, რომელთანაც ერთად უკაფავს მას ნარ-ეკლიანი გზა, არასოდეს არ დაივიწყებენ და ნათელის ხსოვნით მოიგონებენ სიტყვით და საქმით სიმართლისათვის თავდადებულ მებრძოლ სამსონს!..

ვლ. გ—ძე.

დამფუძნებელი კრების წევრები პროვინციაში

ახალქალაქი. ივნისის თერთმეტს შესდგა ბარალეთის რაიონის მცხოვრებ ქართველთა და სომეხთა მრავალ-რიცხვიანი კრება, რომელზედაც დამფუძნებელი კრების წევრმა თედორე კიკვაძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება სახელმწიფოს მდგომარეობის შესახებ. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კრება სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას და მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას, იწონებს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვისათვის, მოითხოვს ენერგიულ ზომების მიღებას ბათუმისა და ზაქათალის ოლქების შემოერთების შესახებ. აღთქმას სდებს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წინაშე, რომ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად გაიღებს ყოველგვარ მსხვერპლს. სთხოვს მთავრობას სწრაფი დახმარება გაუწიოს დამშეულ ხალხს.

ახალციხე. სოფელ უდისა და მთელი რაიონის მცხოვრებ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა მრავალ-რიცხოვან კრებაზე 12 ივნისს დამფუძნებელი კრების წევრმა თედორე კიკვაძემ გააკეთა მოხსენება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: კრება სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას და მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას. ბოლშევიკებთან ზავის ჩამოგდებას სიხარულით ეგებება და მიაჩნია ის ქართველი ხალხის ერთსულოვნების ნაყოფად და მთავრობის სალი პოლიტიკის გამარჯვებად. კრება მოითხოვს მოღალატე ჯარისკაცების და აჯანყების მომწყობთა სასტიკ დასჯას. კრება მოითხოვს, რომ მთავრობამ გადადგას გადამჭრელი ნაბიჯი ბათომისა და ზაქათალის ოლქების შემოსაერთებლად. კრება იწონებს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის პოლიტიკას და ფიცსა სდებს, რომ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და მონაპოვარ თავისუფლებათა დასაცავად გაიღებს ყოველ გვარ მსხვერპლს.

კრების თავმჯდომარე **პლატონ მიქაბერიძე.**

ახალქალაქი. მოისმინა რა ახალქალაქის თემის საზოგადო კრებამ დამფუძნებელი კრების ცაბაძის მოხსენება მომენტზე, უძღვნის სალამს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, უსურვებს ყველგან ბრძოლებში გამარჯვებას; ახალქალაქის დემოკრატია მუდამ მასთან განუყრელათ დაიცავს მთავრობის მოქმედებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

კრების თავმჯდომარე **დავით კალატოზიშვილი.**

ცოტა რამ თფილისის საბაჟოს კოოპერატივის შესახებ

12 ივნისს თფილისის საბაჟოს შენობაში შესდგა საბაჟოს მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატივის საერთო კრება. 15 მაისს კრების მიერ არჩეულ კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა დოლაბერიძემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა სრული ინდიფერენტიზმი საქმისადმი კოოპერატივის გამგეობისა და, რომ კოოპერატივი წარმოადგენდა რაღაც [illegible] დაწესებულებას, რომელიც სახელს უტეხდა კოოპერატივის დიად პრინციპებს. კომისიამ გააცნო და თანაც მოახსენა კრებას, რომ მიუხედავად ოფიციალური ქაღალდის გაგზავნისა და რამდენჯერმე პირადი წინადადებისა, კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ და ხელმძღვანელმა ბ-ნ მაღლაკელიძემ ერთხელაც არ ისურვა გამოცხადებულიყო კომისიის სხდომაზე, რომ ჩაებარებინა ანგარიშები და გაეცნო კოოპერატივის სვე-ბედი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გამგეობას ბევრი მიუტევებელი შეცდომები და დაუდევრობა გამოუჩენია კოოპერატივის საქმეებში. მაგალითად: ყველა ის ფულები, რომელიც შეჰქონდათ წევრებს კოოპერატივში, როგორც საწევრო, შესის, ფართლის და სხვ., სამაგიეროთ კვიტანციებს ვერ იღებდნენ მათგან და ინიშნებოდა მხოლოდ უბრალო ქაღალდზე, ანდა იწერდა უბის წიგნაკში, რომელიმე გამგეობის წევრი. ამ ნიადაგზე, როდესაც კრებაზე წაკითხულ იქნა სია, თუ რომელმა წევრმა, რამდენი შეიტანა სა-

---

მებს, რომლებიც წამოყენებულია მეორე თავის ბოლოში. ეს ადგილი ამჟამათ შეიძლებოდა შეგვეცვალა. რადგან მსხვილი მრეწველობა ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში დიდათ გაიზარდა და მასთან ერთად გაიზარდა მუშათა კლასის პარტიული ორგანიზაცია, აგრეთვე თებერვლის რევოლიუციის, და მით უფრო პარიზის კომუნის პრაქტიკულ გამოცდილების გამო,—ეს პროგრამა დღეს ალაგ-ალაგ დაძველებულია“.

ბალშევიკებმა სწორეთ ანგარიში არ გაუწიეს ამ მარქს-ენგელსის მიერ ნაჩვენებ არსებულ ისტორიულ პირობებს და მით „კომუნისტურ მანიფესტის“ ანდერძი ფეხით გასთელეს. მაგრამ შეიძლება „მანიფესტის“ სახელწოდება „კომუნისტური“ აძლევს ბალშევიკებს საბუთს თავის „გაკომუნისტებისა“? აი, რას სწერდა ენგელსი ამ სახელწოდების შესახებ:

„მაგრამ მაინც მის (მანიფესტის) გამოქვეყნების დროს ჩვენ არ შეგვეძლო მისთვის გვეწოდებია **სოციალისტური** მანიფესტი. 1847 წ. სოციალისტებათ გულისხმობდენ ორი რიგის ხალხს: ერთის მხრივ სხვა და სხვა უტოპიურ სისტემათა მომხრეებს, განსაკუთრებით ოვენისტებს და ფურიეირისტებს. მეორეს მხრივ ყველა ჯურის სოციალურ მკითხავებს, რომლებიც ცდილობდენ ყოველგვარ შეკეთებით მოესპოთ საზოგადოებრივი უბედურებანი, თუმცა უკლებლათ სტოვებდენ კაპიტალსაც და მოგებასაც. ორივე შემთხვევაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მუშათა მოძრაობის გარეშე იდგნენ და მხარის დაჭერას „განათლებული“ კლასებიდან მოელოდნენ. მუშათა ის ნაწილი კი, რომელიც მოითხოვდა საზოგადოების ძირითად გარდაქმნას, თავის თავს მაშინ „კომუნისტურს“ უწოდებდა. ეს იყო მხოლოდ ინსტინქტიური ტლანქი კომუნიზმი: მაგრამ ის გვარიანათ მძლავრი იყო, რომ შექმნა „უტოპიური კომუნიზმის“ ორი სისტემა კაბესი და ვეიტლინგისა. 1847 წ. სოციალიზმი ნიშნავდა ბურჟუაზიულ მოძრაობას, კომუნიზმი კი მუშათა მოძრაობას. სოციალიზმი დარბაზებში იყო მიღებული, კომუნიზმი კი პირ-იქით, და რადგან მაშინ უკვე მტკიცეთ გვწამდა, რომ „მუშათა განთავისუფლება უნდა იყოს თვით მუშათა კლასის საქმე“, ამიტომ ჩვენ მაშინ ერთს წუთსაც არ დავფიქრდებოდით, თუ რომელი სახელწოდება აგვერჩია“, (მანიფესტის წინასიტყვაობა 1890 წ.)

ენგელსის ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ მანიფესტს დაერქვა „კომუნისტური“ უფრო **ტაქტიკურის** მოსაზრებით, ვინემ ამას მოითხოვდა არსებითი ვითარება. თუ **მაშინ**, 1847 წ., სოციალიზმი იყო ბურჟუაზიული მოძრაობა, დღეს მხოლოდ გიჟს შეუძლია სთქვას, რომ ის არ არის მუშათა მოძრაობის უმაღლესი, მეცნიერული ფორმა. თუ მაშინ, როგორც ენგელსი ამბობს, სოციალიზმი ბურჟუაზიის დარბაზებში იყო მიღებული, დღეს პირიქით, კომუნიზმი მიღებულია წვრილ ბურჟუაზიის „დარბაზებში“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბალშევიკებმა შემთხვევით არ უწოდეს თავის თავს „კომუნისტები“. ეს სახელწოდება დღეს სრულებით შეეფერება მათ წვრილ ბურჟუაზიულ ანარქისტულ სულისკვეთებას. მაგრამ ამ სახელის მიღებით მათ სამუდამოთ გამორიცხეს თავისი თავი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის საერთო ოჯახიდან, საერთაშორისო სოციალიზმიდან რადგან დღეს, მარქსიზმის ხანაში, არსად მუშათა მოძრაობა არ მიმდინარეობს კომუნიზმის დროშის ქვეშ.

ალ. ჟორჟოლიანი.

პაიო ფული, აღმოჩნდა რომ მრავალი პირნი, რომელთაც ფული შეტანილი ჰქონდათ, სიაში აღნიშნული არ აღმოჩნდა. ამგვარად კოოპერ. გამგეობა არ აწარმოებდა არავითარ წიგნებს შემოსავალ-გასავლისას და სხვა.

გამგეობას კოოპერატივისთვის თითქმის არაფერი შეუქმნია გარდა იმისა, რომ ღებულობდნენ ქალაქის სასურსათო განყოფილებისაგან სათანადო ბარათებით შაქარს, ბრინჯს, პურსა და ნავთს და იმასაც თავის დაუდევრობის გამო, თავის დროზე ვერ აწვდიდნენ მუშა-მოსამსახურეთ.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ და არ აღვნიშნოთ ბ. მაღლაკელიძის მოქმედებას და „მოღვაწეობას" კოოპერატივში. როგორც კრებზე გამოირკვა, ის ღებულობდა კოოპერატივის სახელით ზოგიერთ ვაჭრებისაგან მრავალგვარ საქონელს და კოოპერატივს კი აქედან არაფერს აწვდიდა და თუ ზოგიერთ შემთხვევაში უნაწილებდა რაიმეს, იმდენს,—რამდენსაც თვითონ გაიმეტებდა. ამას ამჩნევდა საბაჟოს ზოგი მოსამსახურე და კოოპერატივის წევრნი, მაგრამ ისე მაგრად ჰქონდა ბ. მაღლაკელიძეს საბაჟოში ფესვები გადგმული, რომ ძნელი იყო და უსაფუძვლო მის წინააღმდეგ გალაშქრება. ამან გაათამამა ბ. მაღლაკელიძე და ეს მითვისების უნარი გამოიყენა მან არა მარტო კოოპერატივის საქმეებში, არამედ თავისი ოპერაციები გადაიტანა საბაჟოს საქმეებშიც და თანამდებობა ბოროტად გამოიყენა, რისთვისაც უკვე პასუხისგებაშია მიცემული. კრებამ მოისმინა რა კომისიის მოხსენება, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„გამოეცხადოს პრესის საშუალებით საყვედური ძველ გამგეობას კოოპერატივის საქმეების არევისათვის და ყოველგვარ ანგარიშების საფუძვლიანად წარმოუდგენლობისათვის. კერძოდ თფილისის საბაჟოს ყოფილ ბუჰგალტერ მაღლაკელიძის შესახებ, რომელიც თავმჯდომარედ იყო კოოპერატივის გამგეობაში და დღეს პასუხისგებაში არის მიცემული მის მიერ სამსახურში ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის, საერთო კრება გამოსთქვამს კმაყოფილებას, რომ ასეთი ბნელი პიროვნება მოიცილა თავიდან საბაჟომ და მით ცოტათი მაინც უზრუნველყოფილია შემდეგში ჩირქის მოცხებისაგან". ამრიგად, მოხდა ის, რაც დიდი ხანია უნდა მომხდარიყო და ვიმედოვნებ, რომ გამოჩნდებიან რესპუბლიკის გულშემატკივარი პირნი და ალაგმავენ არამც თუ მჭედლოვ-მაღლაკელიძეებს, არამედ—სხვა ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებსაც, რომელთა გაუმაძღრობა და რესტორანებში ფულების ფლანგვას, საზღვარი არა აქვს, როდესაც უმრავლესობა საბაჟოს მოსამსახურეებისა სიმშილს განიცდის და დღიური პურიც, რომელიც მას შეღავათიან ფასებში ეძლევა, ვერ გამოუყიდია სიღარიბის გამო.

კრების მონდობილობით **შალვა ქ. რამიშვილი.**

P. S. კრება სთხოვს სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ მის მიერ მიღებული რეზოლიუცია. შ. რ.

ს. დ.-პარტიაში

ბორჯომი. 8 ივნისს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. ბორჯომის რაიონის ახალ არჩეული კოლექტივის კრება, რომელმაც დაადგინა: 1) კოლექტივმა აირჩია ერთხმათ კოლექტივის თავმჯდომარეთ ამხ. ქ. შახნაზაროვი, თავმჯდომარის ამხ. ი. ჩაჩუა, მდივნათ ჩუხრუკიძე და მოლარეთ გასიტაშვილი. 2) მუდმივი ბინა კოლექტივის უნდა დაარსდეს მუშათა უბანში; დაევალოს პრეზიდიუმს სანამ გამონახავდეს ამ ბინას, დარჩენ დროებით ერობის ბინაზე. 3) მიენდოს პრეზიდიუმს გამონახოს საქმის მწარმოებელი. 4) კოლექტივის კრებები ხდებოდეს 15 და 1 რიცხვებში. 5) მიეცეთ სრული გადამწყვეტი უფლება კოლექტივის კანდიდატებს კოლექტივში სამუშაოთ და კოოპტაციით მოწვეულ იქნენ ამხ. ვიქ. ღლონტი და ვ. ზაქრაძე. 6) იდეური ხელმძღვანელების შესახებ კოლექტივმა დაადგინა დაევალოს ამხ. ვიქ. ღლონტს, ქ. შახნაზაროვს და ვ. ზაქრაძეს, შექმნან პროპაგანდისტთა კოლეგია და გაუწიონ ხელმძღვანელობა იდეურ მუშაობას ბორჯომის რაიონის ს. დ. ორგანიზაციებში.

ქ. დინჯაძე.

სოფ. ნოხირი. 29 მაისს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. ნოსირის კრება.

მომენტზე მოხსენება გააკეთა დამფ. კრების წევრმა ამხ. ბარნაბ ძველაიამ. მომხსენებელი ფართოდ შეეხო და გააშუქა რესპუბლიკის მდგომარეობა. კრებამ მოიწონა მთავრობის და დამფუძნებელი კრების მუშაობა.

კრებას მოხსენდა ფრონტის დღის მოწყობა 29 და 30 მაისს და დაადგინა: 30 მაისს მოგროვდეს მოქალაქეთა შორის სურვილისამებრ შემოწირულება ჩვენი სახელოვანი ჯარის და გვარდიის სასარგებლოთ, ხოლო წარმოდგენა გაიმართოს 7 ივნისს პეხუ ნორაკიძის ეზოში, რისთვისაც არჩეულ იქნა კომისია.

პარტიული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვარ. კილასონიამ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჯერ-ჯერობით მოწყობილია რვა „იაჩეიკები", რომლებიც მეცადინეობენ, ხოლო დანარჩენის მოწყობა ვერ მოხერხებულა სათანადო ძალების უყოლობით. კოლექტივის თავმჯდომარემვე მიმართა კრებას ამოერჩია კოლექტივის წევრ-მდივანი ნაცვლად ამხ. კირილე პაპავასი, რომელიც გაწვეულ იქნა ჯარში. კრებამ კოლექტივის წევრ—მდივნათ აირჩია ამხ. ყარ. ოდიშარია.

კოოპერატივი „მომავალის" მოლარის კანდიდატად დასახელებული იქნა ერთხმად ამხ. ბუკიას ასული.

X.

მუშათა შორის

რკინის გზების მთავარ სახელოსნოების დარაჯების ცხოვრებიდან. იძულებულნი ვხდებით პატარა წერილით საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ მთავარ სახელოსნოების დარაჯების აუტანელ მდგომარეობას. ჩვენც კარგად გვაქვს გათვალისწინებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებს, ამიტომ დღე და ღამე სულ იმის ცდაში ვართ, რომ დემოკრატიის მტრებმა არ გაქურდონ და ცეცხლი არ წაუკიდონ სახელოსნოებს. სულ შიშის ქვეშ ვიმყოფებით, სამსახურს კი ვასრულებთ სინიდისიერათ. პასუხის მგებლობა დიდი გვაქვს დაკისრებული. 25 დღის მაგიერ თვეში ვმუშაობთ 30 დღეს. აღდგომასაც კი სამსახურში გვიხდება ყოფნა. მიუხედავათ ყველა ამისა, თვეში ვიღებთ 2000 მანეთს. მკითხველმა წარმოიდგინოს, თუ რა მდგომარეობაში ვიქნებით წვრილი შვილის პატრონი დარაჯნი ამ მცირე ჯამაგირით, დღევანდელი სიძვირის დროს. ცხოვრებას რომ ჩამოვრჩით ამაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენთვის არ არსებობს არც თეატრი და არც ლექციები. ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხმა არ დარჩება ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. **ერთი დარაჯთაგანი.**

ს. ბათომი. ცხოვრების ჩამორჩენას რომ იტყვიან, სწორედ ეს ითქმის სადგ. ბათომის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებზე. ყოველი გვარი ორგანიზაციული მუშაობა საგრძნობლათ დასუსტდა. ნაცვლად ამისა, თანდათანობით იზრდება კარტნარდის თამაში და ქეიფი სამიკიტნოში, გალეშილები კი შემდეგ ცხვირ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს, როგორც ეს ჩაიდინეს ამას წინედ დეპოს ზოგიერთმა მუშებმა. ურჩევ ამ ვაჟბატონებს გონს მოვიდნენ, გაანებონ თავი ამ მუშების შემარცხვენელ ხელობას. თორემ შემდეგ იძულებული გავხდები მათი სახელი და გვარი ვამცნო მკითხველ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით.

პატარა მუშა.

საავადმყოფო კასები. შრომის კომისარმა ყველა წარმოების მეპატრონეთა გამგეთ, რომლებიც ქალაქის საერთო საავათმყოფო კასაში შედიან ცირკულიარით მიმართა, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქის საერთო კასამ განუცხადა მას: ზოგიერთი მეპატრონე, მიუხედავათ მუშების ავათმყოფობის დროს დაზღვევის კანონის სისწორით აღნიშვნისა, არ იძლევიან ცნობებს მუშათა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილების შესახებ. ამის გამო მეპატრონეთ და გამგეებს წინადადება მიეცათ არა უგვიანეს 1 ივლისისა წარადგინონ ნამდვილი ცნობები მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვისა, ხელფასის და სხვა შესახებ. ამასთანავე წინადადება ეძლევა მათ საავათმყოფო კასის გამგეობას აუწყონ შემადგენლობაში მომხდარ ყოველივე ცვლილების შესახებ.

კასის რწმუნებულების საერთო კრება. 20 ივნ. მუშ. კლუბის შენობაში შესდგება თფილ. ქალაქის საერთო საავათმყოფო კასის რწმუნებულთა კრება. უმთავრესად განიხილავენ კასის მონაწილეების მეუღლეთა მშობიარობის დროს დახმარების გადიდების საკითხს. გადაწყდა წინასწარ წარადგინონ ოპერაციების „ტაქსიროვკა". კასაში მონაწილეს ოჯახის წევრის დასაფლავების დროს მიეცეს 1500 მ. მოზრდილთათვის, 1000 მ. ბავშვებისათვის. მშობიარობის დროს მონაწილეთ მიეცემათ 1000 მან. საავათმყოფო კასის გამგეობას აუცილებლად მიაჩნია თავის თავზე მიიღოს ინიციატივა და აიძულოს ყველა მონაწილეთა ოჯახები, რომ ყავილი აიცრან.

ერთდროული დახმარება მოსამსახურეებს. 10 ივნისის სხდომაზე მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებისა და მუშებისადმი ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ, დაადგინა: 1) სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა მოსამსახურეს და მუშებს, ვისაც ეძლეოდა თვეში სამი ათასამდე, მიეცეს დახმარება თვიური ჯამაგირის რაოდენობით, ვისაც სამ ათასზე მეტი ჰქონდა, მას 3000 მან., 2) მიენდოს შრომის სამინისტროს დამფ. კრებაში შესაფერი დეკრეტის წარმოდგენა, 3) მიენდოს მომარაგების სამინისტროს მიიღოს ყველა ზომა, რომ ამ თვის განმავლობაში მოსამსახურებს და მუშებს გაუდიდონ ის რაციონი, რომელსაც ისინი ამ ჟამად იღებენ.

13 ივნისს შესდგა **თფ. თვითმართველობის აბანოების მუშა-მოსამსახურეთა** საერთო კრება. დაესწრო მუშების უმრავლესობა. ქ. თვით. მ. მ. ცენტრ. აღმ. კომიტეტიდან დაესწრო კრებას 2 წარმომადგენელი: ამხ. ბერეჟიანი და ვასაძე. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ბერეჟიანი, მდივნათ შ. ხამაშურიძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) სამი დათხოვილი მუშის საქმე; 2) ადგ. კომიტეტის წევრების არჩევნები; 3) მიმდინარე კითხვები.

პირველ ორ მუშაზე კრებამ იქონია მსჯელობა და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: რაც შეიძლება დაჩქარებით იქმნას 2 მუშა დაშვებული თავიანთ ადგილებზე, მესამე მუშის საქმე კი გადაეცეს საკონფლიქტო კომისიას.

შემდეგ მოხდა არჩევნები ადგ. კომიტეტის წევრებისა. კრებამ კომიტეტში აირჩია 7 კაცი: ამხ. ქ. ავალიანი, ღ. ვართანოვი, მ. მარკაროვი, შ. ხამაშურიძე, ლ. კიკნაძე, ს. არუთინოვი, უსუფ ჰაჯი-ზეგოვი. კანდიდატებათ: ამხ. ფ. ჩუტკარაშვილი, გ. კავთიაშვილი, ს. ჩიკვაიძე.

მდივანი **შ. ხამაშურიძე.**

პროვინცია

ცხენის წყალი. ამ მოუსვენარ მდინარეს ხშირად „ქაჯის წყალს" ეძახიან.

საქართველოში ასეთი მავნებელი მდინარე არ არის. ყოველ მდინარეს,—დიდს თუ პატარას, აქვს ადიდების დრო. ცხენის წყალი კი როდის ადიდდება, საით იბრუნებს პირს ყანების ასაოხრებლათ, ეს არვინ იცის, ეს მდინარე განსაკუთრებით შეუდარებელი მავნებელი ხდება სენაკის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც თითქოს მის უბრალო წვეთსაც არ სურს ჩაიაროს ისე, რომ რაიმე არ დაანგრიოს, არ გააფუჭოს. საოცარია აქ მისი მიმდინარეობა. ის უფრო ნაპირიდან-ნაპირამდე შავად მდუღარე ტალახს გავს, ვინემ ლეჩხუმის ლამაზ მთებიდან გამომდინარე, მის მეზობელ ანკარა და სიცოცხლის მყოფელ დიდ თუ პატარა მდინარეებს.

აგერ მეთუთხმეტე წელია რაც მისი შავად დუღილი საბედისწერო შეიქნა სენაკის მაზრის ხსენებულ ნაწილისთვის. იმის გარდა, რომ იგი ნგრევის გარეშე ერთ წუთსაც არ სტოვებს, თავის უთავბოლო ადიდებით სწვდება სხვა მდინარეების კალაპოტებს, მინდორ-ველებს, ყანებს და დაუზოგველად აოხრებს ჭირნახულს.

ორი-სამი დღის, ხშირად მეტი ხნის თარეშის შემდეგ ის სტოვებს შავად შეღებილ მინდვრებს და ისე არ დაბრუნდება თავის კალაპოტში, რომ ან მთელი სოფელი, ან რამდენიმე მოსახლეობა არ აყაროს, არ გაანადგუროს.

ადიდდებიან სხვა მდინარეებიც, მოაქვთ ზარალი, მაგრამ სამაგიეროთ აპოხიერებენ ყანებს. ყანის მუშები თავის დროზე კიდეც ნატრულობენ ზოგ მდინარეების ადიდებას.

ცხენის წყლის საშინელ ადიდებაზე ლაპარაკი კი ყველას ჟრუანტელს გვრის.

ამ უკანასკნელ წლებში ცხენის წყალი ისე არ ადიდებულა, რომ ერთი ან რამოდენიმე შტო არ გაეკეთებინა. ზოგი შტო მცირე ადიდების უმალვე ივსება წყლით, ზოგში კი დაკლების შემდეგაც მიდის მდინარის შავი ნაწილი.

ამ უკანასკნელ ხანებში ამ მდინარემ სანახევროთ გაანადგურა სამიქაოს უზარმაზარი საზოგადოება, რომელიც 15 ვერსტის სიგრძით ეკვრის ამ მდინარის მარჯვენა ნაპირს.

ამ საზოგადოების ორი სოფლის—გულუხეთის და ვეზათის მოსახლეობა ასობით აყარა, ეზო და ყანები გადალეკა და ახალი კალაპოტი გაიკეთა ძველი კალაპოტიდან რამდენიმე ვერსტის დაშორებით.

ამავე ნაპირის მიმართულებით ის ამ ჟამათაც გულშემზარავი ღმუილით განაგრძობს ნგრევას და კვირა ისე არ გაივლის, რომ რამდენიმე ოჯახი არ გამოსალმოს მამაპაპის დროიდან შეჩვეულ არეს და სხვაგან არ გადაასახლოს ზოგი მდინარეები, მაგალითად რიონი კალაპოტს ხან ერთ მხარეს გასწევს, ხან მეორეს, მაგრამ მის მიერ დატოვებული ადგილი ისევ ივსება მიწით და დაკარგულ მიწაზე გაცილებით მეტი ნოყიერი ახალ გაჩენილი ყანა გამოდის. ცხენისწყალს სხვა ჩვეულება აქვს. იშვიათია შემთხვევა, რომ მის მიერ დატოვებული ადგილები საყანეთ გამომდგარიყოს. ის თითქოს არ კმაყოფილდება ჩვეულებრივ კალაპოტით და ძველ ნაკალაპოტარ ადგილებს მოუპოხიერებლად სტოვებს. ადიდდება თუ არა, ის იკავებს სიგანით უზარმაზარ სივრცეს, რომელიც ზოგან ვერსტობით იზომება. ადიდებული ცხენისწყალი ხეივნით მორთულ მოძრავ ზღვას მოგაგონებთ.

ნგრევით გაუმაძღარი ეს მდინარე თავის შეუწყვეტელ მუშაობით საოცარი სისწრაფით მიიჩქარის დასავლეთისკენ წასაწევად. თუ აქამდის ის შვიდი ვერსტით იყო დაშორებული დაბა აბაშიდან, ახლა, რაღაც ორი წლის განმავლობაში ვერსტნახევრით დაუახლოვდა. კიდევ ერთი ადიდება, და სრულიად არ იქნება გასაკვირველი და მოულოდნელი თუ თვით დაბას ესტუმრება.

თუ რაღაც ორიოდე წლის წინად ის საშიშარი და მავნებელი იყო მარტო სამიქაოს საზოგადოებისთვის, ახლა უფრო საშინელი გამხდარა ონტოფოს, კვათანის და ნაესაკოვის საზოგადოებათათვის.

ამ უკანასკნელ დიდ წყალდიდობამ, რომელიც ოცი დღის უკან მოხდა, ხსენებულ საზოგადოებათათვის აშკარა გახადა ეს.

აი უაღრესად დაზარალებულ სოფლების სახელები: რომა, გულუხეთი, პ.-გეზათი, გუგუნაყათი, დიდი გეზათი, ქოლობანი, დ. ბულვანი, კვათანა, საკაჭარაო, კოდორი, ცილორი, ტყვირი და სხვ.

ამ სოფლებში ზოგან მოსახლეობაა აყრილი, ზოგან ისე მინგრეულ-მონგრეულია ეზოები, რომ ახლა იყრებიან; ყანები კი ყველგან გაფუჭებულია.

ზოგან დათესილიც იყო, ზოგან დახნული, ზოგან ხნავდენ, თესავდენ. სულ, გამოცდილ პირების გამოანგარიშებით, უკანასკნელ წყალდიდობამ წალეკა 3,000 ქცევამდის საუკეთესო საყანე მიწა. გაპარტახებულ მიწებს ისევ უბრუნდებიან ტანჯული ყანის მუშები, მაგრამ ისევ დამუშავების იმედი არ არის. კიდეც რომ დაამუშაონ, მდინარის მოუსვენრობა სახვალიოთ შესაძლოა უარეს უბედურებას ამზადებს მათთვის.

დღევანდელი სიმინდის ფასი რომ მივიღოთ მხედველობაში, საშუალოზე ნაკლები მოსავალიც რომ მოსულიყო, უკანასკნელ წყალდიდობამ და მდინარის ახალ კალაპოტების გაჩენამ მარტო სიმინდის მოსავლის განადგურებით ათობით მილიონი ზარალი მიაყენა ჩვენს რესპუბლიკას, რადგანაც სიმინდის მოსავლით განთქმულ აბშის რაიონის გული მიწებია შესული განადგურების ფარგლებში. ამას დაუმატეთ ოჯახების აფორიაქება, აყრა, საყანეების სამუდამოთ მოშლა, საბალახეების მოსპობა...

ჩვენ რესპუბლიკას რომ ათასგვარი გარეშე გასაჭირი არ ადგეს კარს, გორის მაზრის და კახეთის დაზარალებულების რიგში ცხენის წყლის ქრონიკულ ნგრევას საერთო, რესპუბლიკის უბედურების ხასიათი აქვს. რესპუბლიკის მოქალაქეთა ყურადღებას რომ უფრო მეტი უბედურებანი არ იპყრობდენ, შეიძლებოდა სპეციალური ექსკურსიების მოწყობა იმ საშინელებათა სახილველად და განსაცდელათ, რომელსაც ქმნის ეს მოუსვენარი „დაბერებული ქაჯის წყალი".

სამწუხაროდ, ჩვენს მთავრობას დღემდის არ მისცემია საშუალება შესაფერად დააფასოს ამ მდინარის მომავალი ნგრევის ხასიათი, ის ახალი უბადურებანი, რომელსაც ის აყენებს ხსენებულ რაიონს და მთელ რესპუბლიკას.

ჩვენი ხაზინის სიცალიერე არ აძლევს საშუალებას, რომ ერთბაშათ გაიღოს დიდი თანხა და შეასრულოს რომელიმე პროექტი, სპეციალისტების მიერ წამოყენებული, ამ მდინარის საბოლოოთ თავის კალაპოტში ჩასაგდებათ (პროექტები თურმე მრავალია!) ერთი კია: ის აურაცხელი ზარალი, რომელსაც ეს მდინარე გვაყენებს ყოველ წლიურად, თვიურად, დღიურად და წუთობითაც კი, იმდენათ დიდია, რომ მარტო ნახევარი წლის ზარალი უშველიდა საქმეს, მით უმეტეს, რომ მრავალ ათასოვანი მცხოვრებია დაზარალებული. თემები ნატურით და ყოველ მხრივ უფასოდ დაეხმარება მთავრობას. ასეთი დადგენილებები თემებმა უკვე გამოიტანეს და წარმოუდგინეს სამაზრო ერობას.

სენაკის სამაზრო ერობას, როგორც გავიგეთ, ამ დიდ საქმისთვის ალბათ პაწია ნაბიჯის გადასადგმელათ ნახევარი მილიონი მანეთი გამოუთხოვია მთავრობისგან, რაც ვერც კი აულია. იქნება ამ თანხით დასაწყისი ერობას დიდათ უნდა გადაექციოს; ეს მხოლოდ დასაწყებათ თუ დასჭირდა, თორემ ნახევარი მილიონით დღევანდელ პირობებში ძნელია და წარმოუდგენელიც ცხენისწყლის ძველ კალაპოტში დაბრუნება. ამაზე ფიქრიც წარმოუდგენელია.

მიუხედავათ უმძიმეს ტეხნიკურ თუ ეკონომიურ პირობებისა, მთავრობამ სასწრაფოდ უნდა გადადგას ნაბიჯი ფართო მასშტაბით, თუნდაც ამისთვის შექმნას ცალკე ორგანოც, დაიხმაროს კერძო სესხი და სხ.

ცხენის წყლის ძველ კალაპოტში დაბრუნება თუნდაც ინჟ. ცვიტლინის გეგმით არა თუ დაიფარავს ხალხს მილიონობით ზარალისგან, რესპუბლიკისთვის დიდ შემოსავლიან წყაროსაც შექმნის ლეჩხუმის მდიდარ ტყეებთან მიმოსვლის დაახლოვებით.

ცხენის წყლის საკითხის მოგვარება ხალხში უკვდავ ყოფს იმ მთავრობას, რომელსაც მიეცემა ბედნიერება ის მოაგვაროს. **არ. ფანცულაია.**

თეატრი და მუსიკა

ქართული მუსიკალური საზოგადოება. ამ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მოღვაწეობა წელს გამოცოცხლდა. 23 მაისს ქუთაისის სასწავლებლის შენობაში გაიმართა ფრიად ყურად საღები და საინტერესო პროგრამით შედგენილი კონცერტი, რასაც დიდი ძალი საზოგადოება დაესწრო. ამ კონცერტმა ნათლად დაგვარწმუნა, რომ პედაგოგიური პერსონალი თავის დანიშნულებას ღირსეულად ასრულებს.

ზოგიერთ ნაწარმოებთა შესრულება ნათლად მოწმობდა საქმისადმი სიყვარულს და ამხანაგურ სოლიდარობას პედაგოგიურ პერსონალის. ნიჭიერ მოწაფეთა კონცერტში გამოშვება, როგორიც არიან ფანცხავა, კოკოჩაშვილი, ხაბურძანია გვიმტკიცებდა, რომ მასწავლებლები ახალგაზრდა ნიჭიერ მოწაფეთ ახალისებენ.

სწორი შეგნება პედაგოგიურ პრინციპებისა, რასაც ადგილი აქვს ამ სასწავლებელში, უეჭველია კარგს ნაყოფს გამოიღებს. ნიჭიერი ბავშვები ბლომათ არიან ქუთაისში, უნდა საშუალება მიეცეთ ამ ნიჭიერთ გაანვითარონ თავიანთი ნიჭი. ამის საშუალება გვაქვს ახლა. 1 ივნისს ქალაქის თეატრში კამერიულ მუსიკის კონცერტი განმეორებულ იქნა. სჩანს საქმე კეთდება. გამოვიჩინოთ უნარი და არ დავღუპოთ ის საქმე, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველივე ერის მუსიკალური კულტურა, გამომხატველია ხალხის სულისა.

X.

წერ. რედაქციის მიმართ

№ 4 ჯავშნიანი მატარებლის გვარდიელებმა მათი უფროსის ალფეს გოგუაძის მოწოდებით უსასყიდლოთ იმუშავეს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების, ყარაიაზში არსებულ ბოსტანში ერთი დღის განმავლობაში, რისთვისაც განყოფილების კომისია უძღვნის ულრმეს მადლობას და გამოსთქვამს იმედს, რომ სხვა ნაწილებიც მიჰბაძვენ მათ მაგალითს.

მდივანი **გ. მენთეშაშვილი.**

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ევროპიულ კავკასიურ ბანკის დირექტორს ბ-ნ მოსე ივ. სულუხიას და მოქ. ნოე სიხარულიძეს, რომელთაც შემოსწირეს სახელმწ. უნივერსიტ. სტუდ. ჯგუფის ჟურნალ „მომავალს": პირველმა 5000 მან., მეორემ 1500 მან.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოველთვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ „მომავალის" **საგამომცემლო კომიტეტი.**

—

ნება მიბოძეთ რამდენიმე სტრიქონით შევასწორო ის სიმართლეს მოკლებული ცნობა, რომელიც მიუწოდებია თქვენი გაზეთის მკითხველებისთვის ამ თვის 8-ში ბ. ჯიქიას ბაღ-რესტორან „ამირანი"-ს შესახებ.

ბ. ჯიქია მართალი არ არის, როცა ამბობს, ვითომც „ამირანი" დაშნაკცუტიუნის პარტიას ეკუთნოდეს. „ამირანი" ეკუთვნის საქართველოს სომხ. საქველმოქმედო საზოგადოებას, და თითონ ბ. ჯიქიამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ხსენებულ საზოგადოებას არავითარი საერთო არა აქვს დაშნაკცუტიუნის პარტიასთან.

ბ. ჯიქია სწერს, რომ „ხსენებულ კაფე-რესტორანში არ დაუშვეს კავშირის წევრები სამუშაოთ".

ჩვენ საჭიროთ ვაცხადებთ, რომ „ამირანი"-ს არენდატორი **ყოფილ თფილისის საქველმოქმედო რესტორანის და კაფეების ჩვეულების და პრაქტიკის წინააღმდეგ** მოსამსახურენი მოუწვევიათ კავშირიდან... კაფეს ოთხივე მომუშავენი კავშირის წევრები არიან, რომლიდგანაც **სამი თვითონ კავშირს გამოუგზავნია**, მხოლოდ ერთი, მისი ეკონომიური უკიდურესი მდგომარეობის მიზეზით და **კავშირის თანხმობით დატოვილი** არის თავის ალაგას.

კარგი იქნებოდა, რომ ბ. ჯიქიას საქმის ნამდვილი ვითარება გაეგო ადრევე.

პატივისცემით, **ამხ. „ამირანი".**

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

პროფ. ნიპპოლდის წიგნი საქართველოზე*).

პროფესორი ნიპპოლდი ცნობილია, როგორც საერთაშორისო უფლების საკითხის სპეციალისტი არა მარტო შვეიცარიაში, არამედ—მთელ ევროპაში და მისი აზრი ძლიერ საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო საქართველოსა და მისი უფლებების შესახებ.

ავტორი თავის უკანასკნელ შრომაში ამ საკითხის განხილვას შეუდგა და ჩვეულებრივი ავტორიტეტით ამტკიცებს, რომ საქართველო საერთაშორისო უფლების თვალთა ხედვით **დამოუკიდებელი სახელმწიფოა დღეს** და ასედაც უნდა იქნას ცნობილი. ამ დებულებას ავტორი ასაბუთებს შეურყეველი მეცნიერული არგუმენტებით და მოწმეთ მოყავს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერნი და იურისტები, როგორიც არიან: ლავრენსი, ნის, ოპენჰეიმ, ბონფის, მერიგჰაკ, რივიე, ფონ-მარტენსი, ფონ-ულმანნ, ფონ-ლისტ, იელინეკი და სხვ. თავის შეხედულების დასამტკიცებლათ ბ. ნიპპოლდი განსაკუთრებით ემყარება 1783 წლის ეკატერინე მე II-სა და ირაკლი მეორეს შორის ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც აქვე უნდა ვსთქვათ, უკვე გამოიცა ჟენევაში შარშან, პროფ. პ. მორიოს წინასიტყვაობით და ჩვენი თანამემამულე ამხ. ოკუმელის კომენტარიებით. ნიპპოლდი სარგებლობს ამას გარდა სხვადასხვა ისტორიული მასალით, რასაც ავტორი გაეცნო ამხ. ხ. შავიშვილის საშუალებით.

წიგნი მშვენიერათ გამოცემულია საქ. პრესის ბიუროს მიერ და შეიცავს 80 გვერდს. იყიდება შვეიცარიის ყველა წიგნის მაღაზიებში. გაიგზავნა აგრეთვე ევროპის სხვა ქალაქებშიაც.

ადგილობრივმა პრესამ აღნიშნა ნიპპოლდის წიგნის გამოსვლა და ზოგიერთმა გაზეთებმა ვრცელი წერილებიც კი უძღვნეს მას. თვით ავტორს მრავალი მადლობა და მილოცვა მიუვიდა სხვადასხვა იურისტებისაგან და ცნობილ პირთაგან.

ბ. ნიპპოლდი ასე დაასკვნის: „**საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარება** არის პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა. ასეთი გადაწყვეტილება აკმაყოფილებს არა მარტო უფლებრივობის მოთხოვნილებას, არამედ—სრულიად ეთანხმება და შეესაბამება **ერთა საზოგადოების** ასპირაციას".

ამ მეცნიერულმა შრომამ, რომელიც ეკუთვნის ევროპის ერთ საუკეთესო მეცნიერის კალამს, დიდი სამსახური გაუწია და კვლავაც გაუწევს მომავალში ჩვენს მიზანს.

ანტონ ჟორჟოლიანი.

განცხადებანი

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

განცხადება

ყ. ს. უ. გ. დ. დ. გ. ი. მ. მ. მომავალ სამოსწავლო წლიდან მსურს დავიკავო მასწავლებლობის

ადგილი

სოფელში არა უშორეს „გორისა და კახეთისა". ჩემი ცენზი საშუალო განათლებისა 2765 სპეციალური წოდებისა № 3085, სამხედრო ბეგრის № 4641, მისამართი: პლეხანოვის ქ. 25, შესავალი ალექსის ქ. № 5.

P. S. ვიღებ მხოლოდ წერილობითი მიმართვას. მ. მ. ი. მ.
(ნ. 3—3)

ექიმი
გენრიხ ისაის ძე ვოლოხი
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 11—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(1741—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ივ. გოკიელი**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 -თ.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი
კ. გ. პართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი **მ. გოლდშტეინი**
თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი
სოლომონ ისაის ძე ვოლოხი
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
ნ. მ. მაჩაბილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

---

*) „საქართველო საერთაშორისო უფლების თვალთახედვით"—საქ. ბიუროს პრესის გამოცემა, ბერნი 1920.